# 41 ქართული ოცნება

## განვითარება ყველა რეგიონს

ქართული ოცნება GEORGIAN DREAM



# ძვირფასო დედოფლისწყაროელებო!

მოგმართავთ იმ პასუხისმგებლობიდან გამომდინარე, რომელიც აღებული გვაქვს თითოეული თქვენგანის, ჩვენი ქვეყნის თითოეული მოქალაქის წინაშე!
თქვენ კარგად იცით სამშობლოს სიყვარულის, მშვიდობისა და თავისუფლების ფასი. ეს არის ის ღირებულებები, რომელთა ერთგულება თითოეული ჩვენგანის ვალია და რომლებმაც უნდა გაგვაერთიანოს ჩვენი ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ. „ქართული ოცნების“ პოლიტიკური საბჭო, ჩვენი მრავალათასიანი გუნდის სახელით აცხადებს, რომ მყარად დაიცავს ჩვენს ეროვნულ ინტერესებს და არავის მისცემს მძიმე წარსულში დაბრუნების შესაძლებლობას.
„განვითარება ყველა რეგიონს“ – ეს არის ჩვენი მიზანი, რომელიც თქვენი მხარდაჭერით და თქვენთან ერთად, აუცილებლად შესრულდება.
ჩვენ მიერ წარდგენილი დედოფლისწყაროს მერობის კანდიდატისა და დედოფლისწყაროს საკრებულოს წევრობის კანდიდატების მხარდაჭერა უმნიშვნელოვანესია იმისათვის, რომ წარმატებით გაგრძელდეს მუნიციპალიტეტში დაწყებული პროექტები, გაგრძელდეს დედოფლისწყაროს განვითარება და გაუმჯობესდეს მოსახლეობის ცხოვრების პირობები.
ჩვენ გვაქვს კონკრეტული ხედვა და გეგმები, თუ როგორ უნდა განვითარდეს დედოფლისწყარო და გვჯერა, რომ ჩვენი გუნდი თქვენგან კვლავაც მყარ მხარდაჭერას მიიღებს.
სამართლიან და თავისუფალ არჩევნებში ერთად უნდა ვიზეიმოთ ჩვენი საერთო გამარჯვება!

***„ქართული ოცნების“ პოლიტიკური საბჭო***

# დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი

## ეკონომიკა

**„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, ეკონომიკის სისტემური რეფორმირება დაიწყო.** ჩვენი გუნდის მმართველობის პირობებში, ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი, 2012 წელს არსებული 27,2 მილიარდიდან, 2020 წელს, პანდემიის ფონზე, 49,4 მილიარდ ლარს გაუთანაბრდა. ხელისუფლების გრძელვადიანი გეგმის მიხედვით, საშუალოვადიან პერიოდში, ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ტემპი, საშუალოდ, 5%-ის ფარგლებში იქნება. ამ ფონზე, აბსოლუტური სიღარიბის მაჩვენებლის განახევრება იგეგმება, რაც 2030 წლისთვის 10.7%-მდე შემცირებას გულისხმობს.

**„ქართული ოცნების“ ხელისუფლების პირობებში, ბიზნესი გათავისუფლდა პოლიტიკური წნეხისგან,** შესაბამისად ბიზნესსექტორის ბრუნვის მოცულობა, 2012 წელს არსებული 42 მილიარდიდან, 2020 წელს, გლობალური პანდემიის მიუხედავად, 109,5 მილიარდ ლარს გაუტოლდა. ჩვენი გუნდის ეკონომიკური პოლიტიკა მიზნად ისახავს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას და შემდგომი ოთხი წლის განმავლობაში უმუშევრობის დონე შემცირდება ერთნიშნა მაჩვენებლამდე.

### ადგილობრივი ბიუჯეტი

**გასული წლების განმავლობაში, მნიშვნელოვნად გაიზარდა ხელისუფლების მიერ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამებისა და პროექტების მოცულობა.** იზრდება ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი – 2013 წელს, დედოფლისწყაროს ბიუჯეტის ხარჯების ნაწილი 4 მლნ 383 ათასი ლარი იყო, 2021 წლის საპროგნოზო მაჩვენებელი, 8 მლნ ლარია. იზრდება მუნიციპალიტეტის საკუთარი შემოსავლებიც – 2013 წელს დედოფლისწყაროს ბიუჯეტმა, გადასახადების ნაწილში, შემოსავლების სახით 1 მლნ 410 ათასი ლარი მიიღო, 2021 წლის საპროგნოზო მაჩვენებელი უკვე 7,4 მლნ ლარს შეადგენს.

### სოფლის მეურნეობა

**სოფლის მეურნეობის განვითარება, სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების გაზრდა და სოფლად ადამიანების დასაქმება სახელმწიფოს ერთ-ერთი პრიორიტეტია.** „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, სოფლის მეურნეობის დაფინანსება, 2012 წელს არსებული 228 მლნ-დან, 2020 წლისთვის 434 მლნ ლარამდე გაიზარდა, ხოლო სურსათის ექსპორტი – 511 მლნ დოლარიდან 942 მლნ დოლარამდე.

**დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში,** 2014-2021 წლებში, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განახორციელა **გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების 1 პროექტი** (ინვესტიცია 934 105 ლარი, სახელმწიფოს თანამონაწილეობა 373 642 ლარი). პროგრამით **„ახალგაზრდა მეწარმე“,** 2018-2021 წლებში, მხარდაჭერილია 2 პროექტი (ჯამურად 210 570 ლარი, თანამონაწილეობა 84 228 ლარი). პროგრამით **„დანერგე მომავალი“,** 2015-2021 წლებში, 675 ჰექტარზე განხორციელდა 39 პროექტი (ჯამურად 6 622 390 ლარი). **აგროდაზღვევის პროგრამით**, 2014-2021 წლებში, დაზღვეულია ჯამურად, 1 261 ჰექტარი (მოსავლის ღირებულება 3 071 080 ლარი), რითაც 254-მა ბენეფიციარმა ისარგებლა. ფერმერებს სტიქიით მიყენებული ზარალი 127 299 ლარით აუნაზღაურდათ. **სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობის** პროგრამით, დღეს მოქმედებს 9 კოოპერატივი (71 მეპაიე, კაპიტალი 36 860 ლარი). **შეღავათიანი აგროკრედიტით** 1 265-მა უნიკალურმა ბენეფიციარმა ისარგებლა, ჯამურად, 2013-2021 წლებში, 105 026 774 ლარის პროექტები განხორციელდა (თანამონაწილეობა 15 337 138 ლარი). **მოდერნიზაციის, ბაზარზე წვდომისა და მოქნილობის თანადაფინანსების პროგრამით** დაფინანსდა 1 პროექტი (59 928 ლარი, თანადაფინანსება 23 971 ლარი). 2019 წელს დაიწყო **სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის თანადაფინანსების პროგრამა** და 2 162 918 ლარის ტექნიკის შესყიდვა განხორციელდა (თანამონაწილეობა – 1 013 043 ლარი). 2020 წლიდან ხორციელდება **მერძევეობის დარგის მოდერნიზაციისა და ბაზარზე წვდომის ხელშეწყობის პროგრამა** (8 პროექტი, ჯამურად 1 603 078 ლარი, თანადაფინანსება 1 171 638 ლარი), **აგროწარმოების ხელშეწყობის პროგრამა** (დღემდე 2 პროექტი, ჯამურმა 106 522 ლარი, თანადაფინანსება 53 261 ლარი) და **სოფლის განვითარების პროგრამა** (2021 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, 5 უნიკალურ ბენეფიციარს გაუფორმდა 5 ხელშეკრულება, ჯამურად 835 269 ლარი, თანადაფინანსებაა 438 000 ლარი). **სამელიორაციო სამუშაოებზე**, 2013-2020 წლებში, დაიხარჯა 8 936 160 ლარი, წყალუზრუნველყოფილი მიწის ფართობი, 0-დან (2013 წელს) 1 183 ჰექტრამდე (2020 წელს) გაიზარდა. კახეთი ქართული მეღვინეობის უმთავრესი რეგიონია. შესაბამისად, სახელმწიფო უდიდეს ყურადღებას უთმობს რთვლის ეფექტიანად წარმართვას – დედოფლისწყაროში, 2013-2020 წლებში, **გადამუშავებულია ჯამურად 79,01 ათასი ტონა ყურძენი** (მოსავლის ღირებულება 76,61 მლნ ლარი). 2013 წლიდან დღემდე, ქვეყნის მასშტაბით, სახელმწიფო უსასყიდლოდ ახორციელებს სხვადასხვა **ვეტერინარულ ღონისძიებას**: ვაქცინაცია, ცხოველთა დაავადებებზე ლაბორატორიული გამოკვლევები, ცხოველთა იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია და სხვა, რაც განაპირობებს მეცხოველეობის განვითარებასა და საექსპორტო პოტენციალის გაზრდას.

- **გაგრძელდება სოფლის მეურნეობის ხელშემწყობი პროგრამები, რაც რამდენიმე ასეული ახალი სამუშაო ადგილის შექმნასა და სოფლად დასაქმებული ადამიანების შემოსავლების ზრდას უზრუნველყოფს;**
- **ქვეყნის მასშტაბით, 2024 წლამდე განხორციელდება 1.2 მლნ ჰექტარი მიწის სისტემური რეგისტრაცია, რითაც პრაქტიკულად, მიწის რეგისტრაციის პრობლემა სრულად აღმოიფხვრება;**

### მეწარმეობის განვითარება

**მეწარმეობის განვითარება და, ზოგადად, სამეწარმეო სულისკვეთების გაძლიერება ხელისუფლების ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა. ამ თვალსაზრისით, მოქმედებს რამდენიმე სახელმწიფო პროგრამა, რომელიც ორიენტირებულია მეწარმეობის ხელშეწყობაზე.**

**მიკრო და მცირე მეწარმეობის მხარდამჭერი პროგრამით,** „აწარმოე საქართველოში“ მხარდაჭერით, 578 476 ლარის გრანტი გაიცა. განხორციელდა 782 776 ლარის ინვესტიცია. ჯამურად დაფინანსდა 64 პროექტი (არსებული ბიზნესის გაფართოების მიზნით – 31, ახალი „სტარტაპის“ მხარდასაჭერად 33 პროექტი).



დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში შიდა საავტომობილო გზების მოწყობის სამუშაოები

41 ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო

### ენერგეტიკა

**ჩვენი გუნდის ენერგეტიკული პოლიტიკის ძირითადი ამოცანა იმპორტირებულ ენერგორესურსებზე დამოკიდებულების ეტაპობრივ შემცირებასა და ადგილობრივი რესურსების ეფექტურ ათვისებას უკავშირდება. „ქართული ოცნების“ გუნდის გეგმის მიხედვით, 2030 წლისთვის დადგმული სიმძლავრე გაორმაგდება და 10,166 მგვტ-ს მიაღწევს. შიდა რესურსებით გამომუშავებული ელექტროენერგიის მოცულობა კი სამჯერ გაიზრდება და 34 მილიარდ კილოვატ/საათს გაუთანაბრდება.**

**2013-2021 წლებში, კახეთის რეგიონში, ექსპლოატაციაში შევიდა 7 ჰიდროელექტროსადგური** – ხადორიჰესი 2, შილდაჰესი, ალაზანიჰესი 2, ახმეტაჰესი, ფშაველაჰესი, შილდაჰესი 1, ავანი ჰესი 3,50. მათი დადგმული სიმძლავრე ჯამურად 32 მგვტ-ია, ჯამური ინვესტიცია 39 მლნ აშშ დოლარი. **კახეთის რეგიონში იგეგმება შემდეგი ენერგეტიკული პროექტები**: **სტორიჰესი-1** – 18,3 მლნ აშშ დოლარი; დადგმ.სიმძლავრე 20 მგვტ; **სამყურისწყალიჰესი-1** – 6,5 მლნ აშშ დოლარი, დადგმ. სიმძლავრე – 4,8 მგვტ; **სამყურისწყალიჰესი-2** – 39,6 მლნ აშშ დოლარი, დადგმ, სიმძლავრე – 26 მგვტ; **ხადორიჰესი-3** -6,2 მლნ აშშ დოლარი, დადგმ. სიმძლავრე – 5,4 მგვტ; **ლოპოტა ჰესი 1** – 16 მლნ აშშ დოლარი, დადგმ. სიმძლავრე – 8 მგვტ; **ბაისუბანი ჰესი** – 5,1 მლნ აშშ დოლარი, დადგმ. სიმძლავრე – 5,34 მგვტ; **ახალსოფელი ჰესი –** 5,5 მლნ აშშ დოლარი, დადგმ. სიმძლავრე – 5 მგვტ; **სტორი 2 ჰესი –** 20,7 მლნ აშშ დოლარი, დადგმ.სიმძლავრე – 11,4 მგვტ; **სტორი 3 ჰესი –** 7 მლნ აშშ დოლარი, დადგმ. სიმძლავრე – 4 მგვტ; **ფონა ჰესი –** 11,5 მლნ აშშ დოლარი, დადგმ. სიმძლავრე 10,6 მგვტ; **დეკა ჰესი –** 1,79 მლნ აშშ დოლარი, დადგმ. სიმძლავრე 1,2 მგვტ; **საჩალე ჰესი –** 1 მლნ აშშ დოლარი, დადგმ. სიმძლავრე – 0,7 მგვტ. **ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის ეტაპზეა მზის ელექტროსადგურების** პროექტები, რომელთა ჯამური დადგმული სიმძლავრე 80 მგვტ-ს აჭარბებს, გამომუშავება 110 მლნ კვტ/სთ-ს უტოლდება (დამატებით 50 მლნ აშშ დოლარამდე ინვესტიცია).

დედოფლისწყაროში, 2013-2021 წლებში, **გაზიფიცირებულია** ჯამურად 8 361 აბონენტი. ხელისუფლების გეგმის თანახმად, გაზიფიცირების სამუშაოები გაგრძელდება.

### ტურიზმი

**„ქართული ოცნების“ გონივრული პოლიტიკის შედეგად, ტურიზმის სფეროს განვითარების თვალსაზრისით, შთამბეჭდავი შედეგები იქნა მიღწეული. 2012 წლის შემდეგ, გაორმაგდა საერთაშორისო ვიზიტორთა და მოგზაურთა რაოდენობა და 4,7 მილიონიდან, 2019 წელს (პანდემიამდე), 9,4 მილიონს გაუთანაბრდა.**

ტურიზმის განსავითარებლად, 2014 წელს **დედოფლისწყაროში** ჩატარდა ტურისტული რესურსების სრული ინვენტარიზაცია. 2013-2021 წლებში, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე **განხორციელდა რამდენიმე პროექტი:** ტურისტული მარშრუტების კვლევა; ხუთი სხვადასხვა ტიპისა და სირთულის მარშრუტის შემუშავება (საფეხმავლო,

ველო და ჯიპ-ტურები) და ორენოვანი მარკირება; წმ. ელია თეზბითელის მთის მიმდებარედ მისასვლელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია; სოფ. მირზაანში, ნ. ფიროსმანის სახლ-მუზეუმში მისასვლელ გზაზე ასფალტის საფარის მოწყობა; პროექტით – „ღვინის გზა“ განხორციელდა ღვინის ტურიზმში ჩართული ობიექტების იდენტიფიცირება და მათთვის საგზაო მიმართულების მანიშნებლების დამზადება-მონტაჟი; ვაშლოვნის ნაკრძალში არსებული ბუნგალოების მოწყობა-რეაბილიტაცია; სოფ. სამრეკლოში არსებული ქოჩების ტბის მიმდებარე ტერიტორიის რეაბილიტაცია-კეთილმოწყობა; სოფ. ხორნაბუჯში, ხორნაბუჯის ციხე-ქალაქთან მისასვლელ გზაზე, რკინა-ბეტონის საფარის მოწყობა; არწივის ხეობის ტერიტორიაზე ბუნგალოებისა და კემპინგის ადგილების მოწყობა; სოფ. ხორნაბუჯში კულტურისა და დასვენების რეკრეაციული ზონის მოწყობა;

- **მომავალში „ქართული ოცნების“ გუნდის გეგმის თანახმად, საშუალოვადიან პერიოდში, 2025 წლისთვის ქვეყანას 10 მილიონი მოგზაური ეწვევა, ხოლო ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი 4.2 მილიარდ დოლარს გაუთანაბრდება;**
- **2030 წლისთვის საქართველო 13 მილიონ მოგზაურს უმასპინძლებს, ხოლო შემოსავლები 6,5 მილიარდ დოლარს მიაღწევს;**

## გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობა

**ქვეყნის მასშტაბით, თუ 2012 წელს დაცული ტერიტორიები 519 ათასი ჰექტარი იყო, დღეისთვის 798 ათასი ჰექტარია. 2012-2020 წლებში, შეიქმნა 26 ახალი და გაფართოვდა 3 დაცული ტერიტორია.**

**კლიმატის მწვანე ფონდმა (GCF),** 2020 წლის აგვისტოში, დაამტკიცა 32,7 მლნ ევროს გრანტი, რომლის მთავარი მიზნებია: საქართველოში სატყეო სექტორის წვლილის შეტანა კლიმატის ცვლილების შერბილებაში და მიმდინარე სატყეო რეფორმის განხორციელების მხარდაჭერა. პროექტი მოიცავს საქართველოს სამი რეგიონის – გურიის, მცხეთა-მთიანეთისა და კახეთის 8 მუნიციპალიტეტს (ახმეტა, თელავი, **დედოფლისწყარო**, ყვარელი, თიანეთი, ლანჩხუთი ოზურგეთი და ჩოხატაური, 2021-2027 წ.წ.).

2020 წელს მუნიციპალიტეტში ჩატარდა **ტყის ინვენტარიზაცია,** ამ ეტაპზე მზადდება ტყის მართვის გეგმა. 2013-2020 წლებში, ინდივიდუალური საყოფაცხოვრებო სარგებლობის მიზნით, მოსახლეობაზე გაცემულია 2 ათასი კუბური მეტრი **მერქნული რესურსი.** 2019-2021 წლებში, მერქნულ რესურსზე ხელმისაწვდომობის გამარტივების მიზნით, მოეწყო **საქმიანი ეზო.** რეგულარულად ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული **ობიექტების ინსპექტირება**.

გარემოს ეროვნული სააგენტო მუდმივად, უწყვეტ რეჟიმში ახორციელებს **ჰიდრომეტეოროლოგიურ დაკვირვებებს** და ავრცელებს გაფრთხილებებს მოსალოდნელი სტიქიური მოვლენების შესახებ. ყოველწლიურად მიმდინარეობს სტიქიური გეოლოგიური პროცესების მონიტორინგი, ასევე მიწისქვეშა **მტკნარი სასმელი წყლების მონიტორინგი** 3 წყალპუნქტზე;

- **სამომავლოდ გაფართოვდება ატმოსფერული ჰაერის, ნიადაგისა და წყლის ხარისხის მონიტორინგისა და შეფასების სისტემები;**
- **გაგრძელდება სტიქიური გეოლოგიური პროცესების ყოველწლიური მონიტორინგი, შეფასდება გეოლოგიური საფრთხის ქვეშ არსებული დასახლებები და გაიცემა რეკომენდაციები გასატარებელი დამცავი ღონისძიებების შესახებ;**
- **გარემოსდაცვითი სტანდარტები თვისებრივად დაუახლოვდება ევროპულ მოთხოვნებს;**
- **ხელისუფლების გეგმის თანახმად, 2030 წლისთვის დაცული ტერიტორიების ფართობი 1 მილიონ ჰექტარს გაუთანაბრდება.**

## ინფრასტრუქტურა და საზოგადოებრივი მომსახურება

**2022-2023 წლებში, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში, ინფრასტრუქტურისა და საზოგადოებრივი მომსახურების გაუმჯობესება-განვითარებაზე განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდება.**

2013-2020 წლებში, **ადგილობრივი მნიშვნელობის** გზების რეაბილიტაცია-მშენებლობაზე, ადგილობრივი და ცენტრალური ბიუჯეტიდან ჯამურად, 16 მლნ ლარზე მეტი დაიხარჯა. აშენდა 2 და რეაბილიტაცია ჩაუტარდა 4 ხიდს.

ხელისუფლების გეგმით, 2021-2025 წ.წ. მუნიციპალიტეტის **ინტერნეტით უზრუნველყოფის** მიზნით, იგეგმება მაღალსიჩქარიანი ფართოზოლოვანი ქსელის მშენებლობა, შედეგად, დედოფლისწყაროს 8 დასახლებულ პუნქტში მცხოვრებ 2 697 ოჯახს მაღალსიჩქარიან ინტერნეტზე წვდომის საშუალება ექნება.

2014-2020 წლებში, დედოფლისწყაროს **წყალმომარაგებისა და საკანალიზაციო ქსელის** განვითარებაზე, მუნიციპალური და ცენტრალური ბიუჯეტიდან, ჯამურად 4 მლნ ლარზე მეტი დაიხარჯა. ხელისუფლების გეგმით, 2021-2023 წლებში, დამატებით 58 მლნ ლარზე მეტი დაიხარჯება. **დედოფლისწყაროში უკვე მიმდინარეობს ან იგეგმება წყალმომარაგების შემდეგი პროექტები:** სოფლების (ფიროსმანი, სამთაწყარო, თავწყარო, ჭოეთი, საბათლო, არბოშიკი) წყალმომარაგების სისტემის საპროექტო/სამშენებლო სამუშაოები – 10,999,997 ლ; დედოფლისწყარო-ზემო ქედი, ქვემო ქედი, არხილოსკალოსა და გამარჯვების წყალმომარაგების რეაბილიტაცია/ პროექტირება/მშენებლობა – 3,283,449 ლ; ქ. დედოფლისწყაროს წყალმომარაგების სათავე ნაგებობისა და სატუმბი სადგურების ელექტრომომარაგების საპროექტო/სამშენებლო სამუშაოები – 9,550,000 ლ; ქ. დედოფლისწყაროს, სოფლების – ხორნაბუჯისა და სამრეკლოს წყალმომარაგების სისტემების რეაბილიტაცია/მშენებლობის საპროექტო სამუშაოები – 32,607,412 ლ; სოფლების – ზემო მაჩხაანისა და მირზაანის, წყალმომარაგების სისტემების რეაბილიტაცია – 2,021,18;


საქმიანი ეზო

### 2021-2022 წლებისთვის, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში, დაგეგმილია ან უკვე განხორციელების ფაზაშია შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტები:

- სოფ. ოზაანში, ამაღლების ტაძართან მისასვლელ გზაზე ცემენტო/ბეტონის საფარის მოწყობა – 278 562 ლ;
- სოფ. ზემო მაჩხაანში, №19 ქუჩის ს/გზაზე ასფალტო/ბეტონის საფარის მოწყობა – 296 188 ლ;
- სოფ. არბოშიკში, გოგაანთ უბნის ს/გზაზე ასფალტო/ბეტონის საფარის მოწყობა – 474 177 ლ;
- სოფ. გამარჯვებაში, ჯიჯიანების უბნის ს/გზაზე ასფალტო/ბეტონის საფარის მოწყობა – 277 864 ლ;
- სოფ. ოზაანში, კულაანთ უბნის ს/გზაზე ასფალტო/ბეტონის საფარის მოწყობა – 149 773 ლ;
- სოფ. ზემო ქედში, ქსნელების უბნის ს/გზაზე ასფალტო/ბეტონის საფარის მოწყობა – 380 857 ლ;
- სოფ. ქვემო ქედში, მე-2 ქუჩის ს/გზაზე ასფალტო/ბეტონის საფარის მოწყობა – 509 864 ლ;
- სოფ. მირზაანში, რაჭველების შუა უბნის ს/გზაზე ასფალტო/ბეტონის საფარის მოწყობა – 219 068.00 ლ;
- სოფ. არხილოსკალოს №2 ქუჩის პირველ მონაკვეთზე (ყოფილი ქავთარაძე, სოფლის ცენტრალური გზის ალტერნატიური ს/გზა) ასფალტო/ბეტონის საფარის მოწყობა – 1 647 143 ლ;
- სოფ. ხორნაბუჯში, ლერმონტოვის ქუჩაზე, ასფალტის საფარის მოწყობა – 326 765 ლ;
- სოფ. სამრეკლოში, 12-ქუჩის მონაკვეთისა და 14-ე ქუჩის ს/გზაზე ასფალტის საფარის მოწყობა – 627 624 ლ;
- სოფ. ხორნაბუჯში, არწივის ხეობასთან მისასვლელ გზაზე ასფალტო/ ბეტონის საფარის მოწყობა – 646 014 ლ;
- გაგრძელდება კახეთის მიმართულებით **ჩქაროსნული მაგისტრალების მშენებლობა,** მათ შორის, დასრულდება გურჯაანის შემოვლითი გზის 15-კმ-იანი, თბილისი-საგარეჯოს 35-კმ-იანი და ბაკურციხე-წნორის 16-კმ-იანი მაგისტრალების მშენებლობა.


„სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროექტი“

ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო 41

# ნიკოლოზ ჯანიაშვილი: „მესამე ვადით კენჭისყრა იმიტომ გადავწყვიტე, რომ წყალმომარაგების პროექტიც დავასრულო“

**ნიკოლოზ ჯანიაშვილს დედოფლისწყაროში განსაკუთრებული წარდგენა არ სჭირდება. აქ მას ყველა იცნობს – დედოფლისწყაროს არჩეული გამგებელიც იყო და მერიც. თავის დროზე, საბანკო სექტორიდან პოლიტიკაში იმ მიზნით მოვიდა, რომ წვლილი შეეტანა განვითარებისა და აღმშენებლობის პროცესში, რომელიც ხელისუფლებაში „ქართული ოცნების“ მოსვლის შემდეგ დაიწყო. ამბობს, რომ ეს მოახერხა და გუნდთან ერთად მშობლიურ მუნიციპალიტეტში არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი განახორციელა. თუმცა არის ერთი საკითხი, რომლის მოგვარებაც უკვე დაწყებულია, მაგრამ ბოლომდე უნდა მიიყვანოს. სწორედ ეს – უკლებლივ ყველა დაპირების 100%-ით შესრულებაა მისი „მესამე წრეზე“ წასვლის მთავარი სტიმული.**



დაიბადა 1983 წლის 12 სექტემბერს, დედოფლისწყაროში და აქვე დაამთავრა №1 საჯარო სკოლა.

2004-2006 წლებში სწავლობდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე, საბანკო საქმის სპეციალობით. აქვს ეკონომიკის მაგისტრის ხარისხი; 2000-2004 წლებში სწავლობდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტზე, ფინანსებისა და საბანკო საქმის სპეციალობით. 2005-2008 წლებში იყო სს „პროკრედიტ ბანკის“ ქუთაისის, თბილისისა და თელავის ფილიალების საკრედიტო ექსპერტი; 2008-2009 წლებში – სს „პროკრედიტ ბანკის“ ფოთის ფილიალის უფროსი საკრედიტო ექსპერტი; 2009-2011 წლებში გახლდათ სს „პროკრედიტ ბანკის“ რუსთავისა და თბილისის ფილიალების საკრედიტო მენეჯერი; 2011-2012 წლებში სს „პროკრედიტბანკის“ წნორის ფილიალის აგრობიზნესის კოორდინატორი; 2014-2017 წლებში იყო დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელი; 2017 წლიდან დღემდე კი არის დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი;

ჰყავს მეუღლე და ერთი შვილი.

**– ბატონო ნიკოლოზ, ორი ვადით მერობის დროს რა გააკეთეთ დედოფლისწყაროში ისეთი, რის გამოც დედოფლისწყაროელებმა ხმა მესამედაც უნდა მოგცენ და ზოგადად, რა შეიცვალა „ქართული ოცნების“ პირობებში?**

– ძალიან ბევრი რამ... დედოფლისწყაროში 2012 წლამდე გზა საერთოდ არ არსებობდა. ქვეყნის უკიდურეს აღმოსავლეთშია დედოფლისწყარო, ერთადერთი გზა გვაქვს რომელიც თბილისსა და დანარჩენ მუნიციპალიტეტთან გვაკავშირებს და ეს გზა საშინელ დღეში იყო. შემოვლით გზებზე დავდიოდით. დედოფლისწყაროსა და მუნიციპალიტეტის ყველაზე დაშორებულ სოფელს – საბათლოს შორის 75 კილომეტრია. კარგ ამინდში 4 საათამდე გვჭირდებოდა ამ მანძილის დაფარვა, მინდვრებზე გავლით. წვიმიან ამინდში კი, 5 და მეტი საათიც იყო საჭირო. წარმოიდგინეთ, სოფელში ადამიანი ცუდად რომ ხდება და სამედიცინო დახმარების მანქანა 5 საათი ვერ მოვა – ასეთ დღეში ვიყავით. ხელისუფლებაში „ქართული ოცნების“ მოსვლის შემდეგ, ეს პრობლემა მოიხსნა; დღეს თბილისთან დამაკავშირებელი გზაც გვაქვს, ყველა სოფელთან დამაკავშირებელი გზაც და ქალაქ დედოფლისწყაროში უასფალტო ქუჩა აღარ დარჩა. დღეს უკვე მიმდინარეობს სოფლებში შიდასაუბნო გზების მოწესრიგება. მოსახლეობის დაკვეთა იყო ასევე, რომ დედოფლისწყაროს ჰქონოდა საავადმყოფო. „ქართულმა ოცნებამ“ ეს დაპირებაც შეასრულა – დღეს დედოფლისწყაროში ახალი, თანამედროვე, ევროპული ტიპის 25 საწოლზე გათვლილი საავადმყოფო ფუნქციონირებს, რომელსაც პანდემიის მართვაში თავისი მოკრძალებული წვლილი შეაქვს და კოვიდცენტრად არის გადაკეთებული. მესამე დაპირება, რომელიც გავეცით, გაზიფიცირებაა. დედოფლისწყაროს თითქმის ნახევარ სოფლებში, მოსახლეობის 40%-ს არ ჰქონდა ბუნებრივი აირი. თანაც ეს ხდებოდა მუნიციპალიტეტში, სადაც ნახევრად უდაბნოს ტიპის ლანდშაფტი გვაქვს და ხე-ტყის მერქანი საერთოდ არ არსებობს. „ქართული ოცნების“ დამსახურებით, დღეს დედოფლისწყარო სრულად გაზიფიცირებულია. ყურადღება მივაქციეთ საგანმანათლებლო დაწესებულებებსაც. საბავშო ბაღები იყო საშინელ მდგომარეობაში. დღეს ჩვენი 18-ვე ბაღი თანამედროვე სტანდარტებსა და მოთხოვნებს პასუხობს, 3 ახალი საბავშვო ბაღიც ავაშენეთ. ასევე სოფელ ზემო მაჩხაანში აშენდა ერთი ახალი – 250 ბავშვზე გათვლილი სკოლა, ევროპული სტანდარტებით, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის ადაპტირებული. 2 სოფელში სკოლების სრული რეაბილიტაცია მოხდა, დანარჩენები გარემონტდა და კეთილმოეწყო. ანუ, მთელი მუნიციპალიტეტის მასშტაბით არის შექმნილი პირობები, რომ ბავშვებმა კომფორტულ გარემოში მიიღონ განათლება. ეს დაპირებაც შევასრულეთ. ასევე უნდა ვახსენო ერთ-ერთი უმთავრესი საკითხი, რომელიც პირადად ჩემთვის არის სტიმული, რის გამოც მესამედ გადავწყვიტე კენჭისყრა და რისი ბოლომდე მიყვანაც მინდა – წყალმომარაგება. დედოფლისწყაროში სასმელი წყლის პრობლემა ყოველთვის იდგა. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ არასოდეს, მათ შორის არც კომუნისტების დროს, ქალაქ დედოფლისწყაროსა და მუნიციპალიტეტის სოფლებს 24-საათიანი წყალმომარაგება არ ჰქონია. ცენტრალურმა ხელისუფლებამ 58 მილიონი ლარი გამოყო ამ პროექტისთვის. ტენდერში გამარჯვებული უკვე გამოვლენილია და იწყება სამუშაოები. პროექტის შედეგი ის იქნება, რომ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მოსახლეობას, 24-საათიანი, უწყვეტი და ხარისხიანი წყალმომარაგება ექნება.

**– დედოფლისწყაროში განხორციელებული თუ დაგეგმილი მასშტაბური პროექტებია მიზეზი, რის გამოც დღემდე ხართ „ქართული ოცნების“ გუნდის წევრი?**

– ჩვენი პოლიტიკური გუნდი დღესაც 2012 წლის პრინციპების ერთგულია და მისი მთავარი ამოცანა ხალხზე ზრუნვა და ყოველდღიურობის უკეთესობისკენ შეცვლაა. მიმაჩნია, რომ ქვეყნის მასშტაბით და კონკრეტულად ჩვენს მუნიციპალიტეტშიც, „ქართული ოცნება“ თავის დაპირებას საქმედ აქცევს. ხელისუფლებაში ჩვენი გუნდის მოსვლის შემდეგ, დედოფლისწყარო შეიცვალა, განვითარდა. დღევანდელი და წინა პერიოდის დედოფლისწყარო, ერთმანეთისგან ისე განსხვავდება, როგორც ცა და დედამიწა. „ოცნებამ“ მოიტანა თავისუფლება, სიტყვის გამო არავინ იზღუდება და პირიქით, მგონი, უფრო ჩვენი გუნდის წევრები იზღუდებიან სხვათა სიტყვის და ტყუილი ბრალდებების გამო. აქედან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ ვარ იმ გუნდის წევრი, რომელიც აუცილებელია ქვეყნისა და მუნიციპალიტეტის განვითარებისთვის. თავისუფალ სიტყვას, ევროატლანტიკურ კურსს და ქვეყნის განვითარებას, „ოცნების“ სახით რამე კი არ ემუქრება, პირიქით ეს გუნდი არის გარანტი, რომ ამ ყველაფრის; ამიტომ, აქ ვდგავარ და სხვაგვარად არ ძალმიძს. გან-



ხორციელებული პროექტების გარდა, მნიშვნელოვანია მოსახლეობის ხელშეწყობაც, დაიწყონ და განავითარონ ბიზნესი, ჰქონდეთ შემოსავლების წყაროები. თავის დროზე პოლიტიკაში მოვედი საბანკო სექტორიდან, სადაც კარგად ვხედავდი, რა ზეწოლა ხდებოდა ბიზნესზე. იმ პერიოდში არაერთი ბიზნესმენი გამომიტყდა, მარეკეტებენო. ამ ფონზე, ყველანი ვიყავით სიახლის მოლოდინში და მეც, 2012 წელს, როცა ქართულ პოლიტიკაში ნამდვილი გარღვევა მოხდა, როცა ხელისუფლება „ქართულმა ოცნებამ“ მშვიდობიანად, არჩევნების გზით გადაიბარა, ჩემი არჩევანი გავაკეთე. დღეს თამამად ვამბობ, რომ ეს სწორი გადაწყვეტილება იყო. დღეს ბიზნესმენებს, მეწარმეებს მაქსიმალური ხელშეწყობა აქვთ და მათ სახელმწიფო, არაერთ საშეღავათო პროექტს სთავაზობს.

**– ამ პროექტებით დედოფლისწყაროში ბევრმა ისარგებლა და ძირითადად, რა მიმართულებით წამოიწყეს ბიზნესი?**

– სახელმწიფომ გააკეთა მთავარი – ბიზნესი გაათავისუფლა წნეხისგან, რეკეტისგან და შექმნა მაქსიმალურად კონკურენტუნარიანი გარემო. ეს ქვეყანაზეც აისახა და დედოფლისწყაროზეც. გამოჩნდა სხვადასხვა პროგრამა. მე, როგორც ყოფილმა ბანკირმა, შემიძლია დაგიდასტუროთ, რომ გაიზარდა ხელმისაწვდომობა თანხაზე, პროცენტებმა დაიკლო. ასევე, სწორი ევროინტეგრაციული კურსიდან გამომდინარე, უფრო მჭიდრო ურთიერთობა ჩამოყალიბდა ევროკავშირის ქვეყნებთან. ამის მაგალითია ის, რომ დედოფლისწყაროში 3-4 წლის წინ უკვე ამოქმედდა „ემპარდი 2“, რომლის საფუძველზეც ბიზნესის განვითარებისთვის გაიცა არც თუ ისე მცირე გრანტები.

**– ამ გრანტებით რა პროექტები განხორციელდა დედოფლისწყაროში?**

– ტურისტული მიმართულებით – საოჯახო სასტუმროების, ახალი სასტუმროები, სარესტორნო მომსახურების არაერთი პროექტი დაფინანსდა. ასევე გაიხსნა სილამაზის სალონები, საცხობები, კაფეები... ტურიზმი დედოფლისწყაროს განვითარების უდიდესი პერსპექტივაა. აქ უნიკალური ადგილები გვაქვს. მათ შორის ვაშლოვანის ეროვნული პარკი, რომელიც მხოლოდ დედოფლისწყაროს კი არა, საქართველოს მარგალიტია. ტურისტული თვალსაზრისით ასევე მიმზიდველია მე-5 საუკუნის ძეგლი, ხორნაბუჯის, იგივე თამარის ციხე, საიდანაც უნიკალური ხედები იშლება. სხვათა შორის, ახლა კონკურსში გავიმარჯვეთ და ევროკავშირის დაფინანსებით, იდეა – ციხეზე მისასვლელი გზის გაკეთება, გადავიდა შემდეგ ეტაპზე, უკვე პროექტირებას ვახორციელებთ და წლის ბოლოსთვის 1 მილიონ 800 ათასი ლარის ღირებულების პროექტი დაიწყება. გზის მოწესრიგება ძეგლს უფრო ხელმისაწვდომს გახდის და გაზრდის ტურისტების რაოდენობას. პრემიერის ახალი ინიციატივის „განახლებული რეგიონების“ ფარგლებში კი, ჩვენი საამაყო ფიროსმანის სახლ-მუზეუმი კეთილმოეწყობა. ასევე სრულიად განახლდება დედოფლისწყაროს ცენტრი და რაც თითოეული დედოფლისწყაროელისთვის ძალიან მნიშვნელოვანია – განახლდება დედოფლისწყაროს შემოსასვლელში არსებული შინმოუსვლელთა მემორიალი – გვექნება ახალი ცენტრალური პარკი.

**– ტურიზმთან ერთად, დედოფლისწყაროს განვითარების პერსპექტივა სოფლის მეურნეობაცაა. ამ სფეროშიც პროგრესია და სოფლის მეურნეობის სახელმწიფო პროგრამებითაც სარგებლობენ ადგილობრივები?**

– რამდენიმე მარტივ ფაქტს მოგახსენებთ. სახელმწიფოს ხელშეწყობით, საგრანტო: პროგრამით, 17 ახალი კომბაინი შემოვიდა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში. გასულ და მიმდინარე წელს, მაქსიმალურად ყველა ნაკვეთი დამუშავდა, დაითესა ხორბალი და ქერი და დღეს 1 ჰა მიწის ყიდვა ან ქირაობა რომ გინდოდეთ, ფიზიკურად ვერ ნახავთ. მთავრობის ხელშეწყობით, გაჩნდა ახალი მიმართულებები, რომლებიც არ იყო ტრადიციული – 400 ჰა-ზე მეტ ტერიტორიაზე გაშენდა ზეთისხილის პლანტაციები, 120 ჰა-ზე კაკლის პლანტაცია, დაახლოებით 80 ჰაზე ნუში დაირგო. ფისტაც იკიდებს ფეხს. ეს რაც ჩემი თვალით მაქვს ნანახი. მარტო „იაფი აგროკრედიტის“ ფარგლებში მინიმუმ 25 ხორბლის და ქერის მარცვლეული კულტურის შესანახი, 2 და 3 ათასტონიანი საწყობები აშენდა. ჩვენი ხელისუფლების პირობებში, მუნიციპალიტეტის მასშტაბით, 1800 ჰექტარზე გაშენდა ახალი ვენახი. ეს მაშინ, როცა დედოფლისწყარო კახეთის მასშტაბით, კონკრეტულად მევენახეობაში ყველაზე მცირესეგმენტიანია. წინა ხელისუფლების პირობებში კი, გახსოვთ მიზანმიმართულად როგორ ებრძოდნენ ამ დარგს და ფულსაც კი უხდიდნენ გლეხებს იმაში, რომ ვენახი გაეჩეხათ. ვფიქრობ, ამით ქართველი კაცის იდენტობას ებრძოდნენ.

**– დღეს კი ხელისუფლება რთვლის სუბსიდირებას ისევ აპირებს. ფიქრობთ, პანდემიის დროს შექმნილ ვითარებაში, ეს საუკეთესო გამოსავალია?**

– დიახ, ეს არის სწორედ გლეხის ინტერესების გათვალისწინებით გადადგმული ნაბიჯი. წინა წლებში, მევენახეობა-მეღვინეობა ისე ვითარდებოდა, რომ ხელისუფლებამ სუბსიდირებაზე უარი თქვა, მაგრამ კოვიდსიტუაციიდან გამომდინარე, როცა შემცირებულია ქარხნების მიერ ღვინის რეალიზება, ეს იყო ნამდვილად ერთადერთი გამოსავალი.

**– ყველაფერი იმის საფუძველს გაძლევთ, რომ მესამედ გამარჯვებაში დარწმუნებული იყოთ, დედოფლისწყაროში როგორ არჩევნებს ელოდებით?**

– პირველ რიგში, მადლობელი ვარ ჩემი დედოფლისწყაროელების, რომ უკვე ორჯერ დამიჭირეს მხარი. ამ ორი მოწვევის პერიოდში, ჩემმა გუნდმა და მეც, დავამტკიცეთ, რომ ჩვენი სიტყვა იქცევა საქმედ. სწორედ ეს გაკეთებული საქმეები, მიცემული სიტყვის შესრულება, სწორედ დედოფლისწყაროს განვითარება მაძლევს იმედს და იმის თქმის საშუალებას, რომ ჩემი დედოფლისწყაროელები მესამე ვადაშიც მხარს დამიჭერენ და ჩვენ ერთად განვაგრძობთ ჩვენი მუნიციპალიტეტის განვითარებას. როგორც მოიხსნა წლების განმავლობაში გადაუჭრელი პრობლემა და დღეს გზა გვაქვს, როგორც არავის ეგონა, რომ ქედების ზონაში, ალაზნისპირა, საზღვრისპირა სოფლებში ბუნებრივი აირი იქნებოდა და დღეს აქ გაზი გვაქვს, როგორც არავის ეგონა, რომ შეიძლება გვქონოდა ახალი საავადმყოფო და გვაქვს, სწორედ ასე ახდება დედოფლისწყაროელების ოცნება 24-საათიან სასმელ წყალთან დაკავშირებით. ამ არჩევნებზე ეს ჩემი მთავარი დაპირებაა. ამას აუცილებლად გავაკეთებთ და ჩვენ გვექნება უკეთესი გარემო. აუცილებლად მეტ ყურადღებას დაუთმობთ ახალგაზრდებზე ზრუნვას და მაქსიმალურად შეუწყობთ ხელს ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაციას – ავაშენებთ ახალ სტადიონებს და ბავშვთა გასართობ ატრაქციონებს. რაც შეეხება არჩევნებს, ჩვენ, ქიზიყელები გაწონასწორებული, დინჯი ხალხი ვართ და არც ერთი არჩევნების დროს, დაპირისპირება, აყალმაყალი, სიტყვიერი თუ ფიზიკური შეურაცხყოფა არ გამოგვიხატავს. დარწმუნებული ვარ არჩევნები მშვიდ გარემოში, დემოკრატიულად ჩატარდება, დედოფლისწყაროელები დავაფიქსირებთ ჩვენ არჩევანს და „ქართული ოცნების“ გუნდთან ერთად, კიდევ ერთხელ გავიმარჯვებთ!



# ნიკოლოზ ჯანიაშვილის ბედნიერი ოჯახი და „უფლის საჩუქარი“

მთელი მისი შეგნებული ცხოვრების უდიდესი ნაწილი დედოფლისწყაროსთანაა დაკავშირებული. აქ მის მშობლებს კარგად იცნობენ – დედა „თვალის კაბინეტში“ ექთანი იყო, მამა კი 34 წელი კირქვის საწარმოში მუშაობდა. ბავშვობაში ექიმობაზე ფიქრობდა, მაგრამ შემდეგ გადაწყვეტილება შეცვალა და ეკონომისტის პროფესიას დაეუფლა. მშობლებმაც მხარი დაუჭირეს – არჩევანში ყოველთვის თავისუფალი იყო. წარჩინებული სტუდენტი გახლდათ. იმ პერიოდში ოჯახს ფინანსური პრობლემები ჰქონდა და მისი თბილისში ცხოვრების ხარჯიც მძიმედ აწვებოდა კისერზე, ამიტომ როგორც კი შანსი მიეცა, ქუთაისში, „პროკრედიტ ბანკში“ დაიწყო მუშაობა. 21 წლის ქიზიყელი ბიჭი, იმერეთში, საერთოდ უცხო გარემოში მოხვდა, მაგრამ თავის დამკვიდრება შეძლო. მოგვიანებით, მუშაობა თბილისში, თელავსა და ფოთშიც მოუწია. 2012 წელს კი, მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრისტალში“ შესთავაზეს, კახეთში, წნორში ფილიალი გაეხსნა და ეხელმძღვანელა. მოგვიანებით, ამ ოფისმაც მიაღწია წარმატებას – ყველაზე სწრაფად მზარდი ფილიალი იყო, რის გამოც ნიკოლოზ ჯანიაშვილი სიგელითაც დააჯილდოვეს.

თუმცა „კრისტალში“ მისვლით უფრო დიდი „ჯილდო“ მიიღო – სწორედ აქ გაიცნო მომავალი მეუღლე. მაკა მეტრეველი „კრისტალის“ ერთ-ერთი ფილიალის მენეჯერია. პირველად გასაუბრებაზე შეხვდნენ ერთმანეთს. სანამ საორგანიზაციო საკითხები მოგვარდებოდა და ახალ გუნდთან ადაპტაციის პროცესსაც გაივლიდა, იმ ფილიალში მუშაობდა, სადაც რჩეულის ყოველდღიურად ნახვის ბედნიერება ჰქონდა. თავიდანვე მოეწონა, რამდენიმე კვირაში კი მიხვდა, რომ ქალბატონი მაკა სწორედ ის ადამიანი იყო, ვისაც ბედს დაუკავშირებდა. გრძნობებში კახეთში გადასვლამდე არ გამოუტყდა – ერთად მუშაობა, კორპორატიული კულტურა არ აძლევდა ამის უფლებას. მას შემდეგ კი, როგორც კი წნორში ფილიალის მშენებლობა დაიწყო, დაიწყო ოჯახის საძირკვლის მშენებლობაც. სასიყვარულო ურთიერთობას საფუძველი მალე ჩაეყარა. „ძალიან სწრაფად არ დამთანხმდა, მაგრამ არც მაწვალა. მგონი, არ ვარ ის ბიჭი, უარი რომ უნდა უთხრა“, – ხუმრობს იუმორის საოცარი გრძნობით დაჯილდოებული კანდიდატი და იმასაც გვიმხელს, რომ 1 წელში უკვე ოჯახის შექმნაზე ჩამოყალიბდნენ, თუმცა ქორწინება დროებით გადაიდო და როგორც უნდა გაგიკვირდეთ, პოლიტიკური მიზეზით – ბატონი ნიკა დედოფლისწყაროს გამგებელი გახდა და დაიწყო მზადება თვითმმართველობის არჩევნებისთვის. „ქართული ოცნების“ დამსახურებით, დედოფლისწყაროს და სრულიად საქართველოს მოსახლეობას, პირველად მიეცათ საშუალება, ჰყოლოდათ არჩეული მერი. სხვათა შორის, ამას ბატონი ნიკოლოზი თავისი გუნდის ერთ-ერთ მთავარ მიღწევად მიიჩნევს. მოკლედ, წყვილი არჩევნებში გამარჯვების შემდეგ დაქორწინდა.

ერთი შვილი ჰყავთ – 5 წლის ქალბატონი თამარ ჯანიაშვილი. მასზე საუბრისას კანდიდატს ხმის ტემბრიც კი ეცვლება: „თამარი უფლის საჩუქარია. ძალიან ნიჭიერია, 8 თვიდან ლაპარაკობს, ისეთ სიტყვებს ამბობს, ისეთ აზრებს აყალიბებს, მაოცებს. მგონია, რომ ამ ასაკის ბავშვმა არც ასეთი ტერმინები უნდა იცოდეს და არც ასეთი აზრთა წყობა უნდა ჰქონდეს“. თამარი მხიარული და მამასავით კომუნიკაბელურია – გიჟდება ადამიანებთან ურთიერთობაზე და ძალიან ბრაზობს კოვიდ 19-ზე, რომელმაც იძულებული გახადა ადამიანებთან ნაკლებად ჰქონდეს კონტაქტი. ზოგჯერ, როცა ძალიან მოიწყენს, გამოაღებს ჭიშკარს და გამვლელს, ნაცნობს თუ უცნობს ესალმება, ხელს უქნევს – შემოდი, ვითამაშოთ, ყავა დავლიოთო, ეპატიჟება.

ქალბატონი მაკა თბილისში მუშაობს და თამარიც დედასთან ერთად, დედაქალაქშია. უქმეებზე გული დედოფლისწყაროსკენ მიუწევთ, ან კანდიდატი ჩადის მათთან. „მუდმივად გვენატრება ერთმანეთი, მაგრამ ამ ეტაპზე ასეა საჭირო. კიდევ ოთხი წელი მოგვიწევს ამ რეჟიმში ცხოვრება“, – ამბობს კანდიდატი, რომლის სამუშაო დღე, შუაღამეზე ადრე იშვიათად მთავრდება.

დედოფლისწყაროში ბევრი ადგილია, სადაც შეუძლია შვილი მიიყვანოს, განხორციელებული პროექტი აჩვენოს და ამაყად უთხრას, „მამა, ეს მე გავაკეთე!“ ამბობს, რომ მომავალში ასეთი პროექტების რაოდენობა კიდევ უფრო გაიზრდება.

უყვარს მოგზაურობა, რომელიც სამწუხაროდ, პანდემიამ დროებით შეაფერხა. თუმცა, ულამაზეს დედოფლისწყაროშიც შეგიძლია ოჯახით იმოგზაურო და არაერთი ადგილით მოიხიბლო და ხედებით დატკბე.

უყვარს ტექნოლოგიები და კონსტრუქტორები. სამსახურში საკუთარი ხელით აწყობილი თვითმფრინავის რამდენიმე მაკეტიც აქვს. უყვარს მათემატიკური თავსატეხებიც, ანუ ყველაფერი ისეთი, რაც ხელს გიწყობს წამიერად გაეთიშო ყოველდღიურობას და კონკრეტული საკითხის გადაჭრაზე იზრუნო. არასრული 8 წელია დედოფლისწყაროელების კონკრეტული საკითხების გადაჭრაზე ზრუნავს. მშობლიური მუნიციპალიტეტის მერობა, მისთვის, მათემატიკურ თავსატეხს აღარ ჰგავს – აქ, დედოფლისწყაროში, ზუსტად იცის, სად რა იყო გასაკეთებელი, რა გააკეთა, რას აკეთებს და ისიც ზუსტად იცის, მომავალში რა უნდა გააკეთოს, რომ დედოფლისწყაროელების ყოველდღიურობა უფრო ლაღი, კომფორტული და ბედნიერი იყოს.

# ჯანმრთელობის დაცვა

**„ქართული ოცნებისთვის“ უმთავრესი ღირებულება არის ადამიანი, ხოლო საქმიანობის უმნიშვნელოვანესი პრინციპი – ადამიანზე, მის ღირსებაზე, სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე ზრუნვა. ხარისხიანი და საყოველთაოდ ხელმისაწვდომი, სოციალური სამართლიანობის პრინციპზე დაფუძნებული ჯანმრთელობის დაცვის სისტემის შენარჩუნება და შემდგომი განვითარება „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია.**

2012 წლის შემდეგ უპრეცედენტოდ, 4,5-ჯერ გაიზარდა ჯანდაცვის დაფინანსება.

2013 წელს **საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის** ამოქმედებით, „ქართულმა ოცნებამ“ საფუძველი ჩაუყარა ჯანდაცვის ხარისხიან სერვისებზე უნივერსალურ ხელმისაწვდომობას. 2017 წლიდან განისაზღვრა ბენეფიციარების შემოსავლების მიხედვით დიფერენციაციის ახალი კრიტერიუმები. შედეგად, 40%-დან 99.9%-მდე გაიზარდა მოსახლეობის სერვისებით მოცვა, დაფინანსდა 8,6 მლნ-ზე მეტი შემთხვევა (2,8 მლნ ბენეფიციარი), რაზეც 4,6 მლრდ ლარზე მეტი გამოიყო. 2013-2020 წლებში, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტზე, გამოყოფილია 28 804 189 ლარი, დაფინანსდა 51 454 შემთხვევა, მათ შორის: **გეგმური ამბულატორიული** (1443 121,6 ლარით 91 931 ბენეფიციარი), **გადაუდებელი ამბულატორიული** (1 987 137 ლარით 27 026 შემთხვევა), **გადაუდებელი სტაციონარული** (19 145 008 ლარით 14 836 შემთხვევა), **გეგმური ქირურგიული** (4 033 897 ლარით 4058 შემთხვევა), **მშობიარობა და საკეისრო კვეთა** (1 423 132 ლარით 2 423 შემთხვევა) და **ქიმიო, ჰორმონო და სხივური თერაპია** (1 264 559 ლარით 2418 შემთხვევა). **გაიზარდა ონკოლოგიური პაციენტების ქიმიოთერაპია/სხივური თერაპიის კომპონენტში არსებული ლიმიტი 8 000 ლარის ოდენობით.**

**ქრონიკული დაავადების მქონე მოწყვლადი ჯგუფებისთვის მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობის პროგრამა** ამოქმედდა სოციალურად დაუცველი პირების (სარეიტინგო ქულა 100 ათასამდე), საპენსიო ასაკის მოქალაქეებისა და შშმ ბავშვებისთვის, ვეტერანებისა და გამყოფი ხაზის სოფლების მოსახლეობისთვის.

2017-2021 წლებში (ივლისის მდგომარ.), პროგრამით **დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში,** დაფინანსდა 4 063 ბენეფიციარი (237 865 ლარი). 2012 წლის შემდეგ, 3,4-ჯერ – 29,0 მილიონი ლარიდან 100,7 მილიონ ლარამდე გაიზარდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან **საზოგადოებრივი ჯანდაცვის დაფინანსება,** მათ შორის, უპრეცედენტოდ, 7-ჯერ გაიზარდა **იმუნიზაციის პროგრამის ბიუჯეტი** (24.1 მლნ ლარი შეადგინა). სახელმწიფო უზრუნველყოფს 13 დაავადების პრევენციას, წარმატებით დაინერგა 5 ახალი ვაქცინა. **დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში** 94%-დან 100%-მდე გაიზარდა იმუნიზაციით მიზნობრივი ჯგუფის მოცვის მაჩვენებელი. **ტუბერკულოზის ეროვნული პროგრამით** განხორციელებული ღონისძიებების შედეგად,. უკანასკნელ წლებში შემცირდა ტუბერკულოზის გავრცელება – 2013 წლის შემდეგ, **დედოფლისწყაროში,** სტაციონარული მკურნალობით 122-მა (462 759 ლარი), ამბულატორიული მომსახურებით – 899-მა პაციენტმა (123 287 ლარი) ისარგებლა. **დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის სფეროში** ხელისუფლების მხრიდან გატარებული თანმიმდევრული პოლიტიკის შედეგად, 2017 წელს დაფიქსირდა დედათა სიკვდილობის ყველაზე დაბალი მაჩვენებლი, წინა წლებთან შედარებით (13.1/100 000 ცოცხალშობილზე). 2018 წლიდან 8-მდე გაიზარდა ვიზიტების რაოდენობა ორსულთათვის. 2014 წლიდან ყველა ორსული უზრუნველყოფილია ფოლიუმის მჟავითა და რკინის პრეპარატით. 2013-2020 წლებში, მუნიციპალიტეტში ანტენატალური სერვისის მიმღებია 3778 ორსული (202 459 ლარი), მედიკამენტებით უზრუნველყოფილი – 949. 2015 წლიდან საქართველოში, მსოფლიოში პირველად, დაიწყო **C ჰეპატიტის ელიმინაციის (აღმოფხვრის) პროგრამა** (21,7 მლნ ლარი). პროგრამა მოიცავს საქართველოს მოქალაქეებისათვის უფასო სკრინინგს, დაავადების დიაგნოსტიკასა და კომპანია „გილეადის“ დაფინანსებით C ჰეპატიტით დაავადებული პაციენტების უფასო მკურნალობას უახლესი თაობის ძვირადღირებული მედიკამენტებით. პროგრამის დაწყებიდან 2021 წლის 1 მაისამდე, გამოკვლეულია 2,3 მლნ ბენეფიციარი, მკურნალობაში ჩაერთო 74 ათასზე მეტი და დაასრულა 70 ათასზე მეტმა პირმა, მიღწეულია უპრეცედენტო შედეგი – სრულად განიკურნა დაავადებულთა 98,9%, გადარჩა 68 ათასი ადამიანის სიცოცხლე. საქართველო C-ჰეპატიტთან ბრძოლაში გლობალურ ლიდერადაა აღიარებული. **დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტიდან მკურნალობასა და სადიაგნოსტიკო კვლევებში ჩართული იყო 253 პირი (49 011 ლ).**

2012 წლის შემდეგ, **დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის** მოსახლეობისათვის მნიშვნელოვნად გაიზარდა **სამედიცინო მომსახურების დაფინანსება პრიორიტეტულ სფეროებში,** მათ შორის: ფსიქიკური ჯანმრთელობის, დიაბეტის მართვის, დიალიზის და თირკმლის ტრანსპლანტაციის, იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პაციენტთა მკურნალობის, პირველადი და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფის, რეფერალური მომსახურების პროგრამების დაფინანსება. **რეფერალური მომსახურების პროგრამის განვითარების შედეგად,** გაიზარდა სტიქიური უბედურებების, კატასტროფების, საგანგებო სიტუაციების, კონფლიქტურ რეგიონებში დაზარალებულ მოქალაქეთა და საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული სხვა შემთხვევების დროს მოსახლეობის სამედიცინო დახმარების მიწოდება. **დედოფლისწყაროში,** 2013-2021 წლებში, სულ 572 შემთხვევა 841 095 ლარით დაფინანსდა.

**2013 წლიდან ხორციელდება პირველადი ჯანდაცვის განახლებული ქსელის მოწყობა.** პირველადი ჯანდაცვისა და სოფლის ექიმის როლის გაძლიერების მიზნით, 2014 წლიდან სახელმწიფოს სრული კომპეტენცია გახდა **„სოფლის ექიმის“ პროგრამის** მართვა. 2014 წლის მაისიდან 30%-ით გაიზარდა **სოფლის ექიმებისა და ექთნების ხელფასი;** 2019 წელს „სოფლის ექიმის“ სახელმწიფო პროგრამაში მონაწილე სოფლის ექიმები/ექთნები გადავიდნენ სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის მართვაში, სახელმწიფო აფინანსებს მათი საქმიანობისათვის აუცილებელ ხარჯებს. მიკრობიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკურ პირად დარეგისტრირების შემთხვევაში, სოფლის ექიმები/ექთნები თავისუფლდებიან საშემოსავლო გადასახადისგან. **დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტს 28 სოფლის ექიმი და ექთანი ემსახურება.**

2013 წელთან შედარებით, **გაიზარდა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ჯანმრთელობის დაცვის სფეროს დაფინანსება.** 2020 წელს, ჯანმრთელობის დაცვის ხარჯებმა და არაფინანსური აქტივების ზრდამ 111.3 ათასი ლარი შეადგინა (2013 წ. – 77,1 ათასი ლ). 2012 წლიდან, დედოფლისწყაროში, ხორციელდება სოციალური დახმარების 9 მუნიციპალური პროგრამა.

**მუნიციპალიტეტის მიერ ხორციელდება ისეთი მნიშვნელოვანი პროგრამები** როგორიცაა: იმუნიზაციის, მალარიის, რაბიოლოგიის სახელმწიფო პროგრამა, ეპიდემიოლოგიური ზედამხედველობის სახელმწიფო პროგრამა, იოდის დეფიციტით გამოწვეულ დაავადებათა პროფილაქტიკის პროგრამა და სხვ.

**ხარისხიანი და ხელმისაწვდომი სამედიცინო მომსახურების უზრუნველსაყოფად:**

- გაიზრდება მოსახლეობის ხელმისაწვდომობა ჯანმრთელობის დაცვის ხარისხიან სერვისებსა და სამკურნალო საშუალებებზე;
- გაიზრდება ჯანმრთელობის დაცვის სფეროში დასაქმებული პერსონალის შრომის ანაზღაურება და უწყვეტ განათლებაზე ხელმისაწვდომობა;
- საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით, კვლავ უზრუნველყოფილი იქნება სამედიცინო სერვისების ფინანსური და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა, მიზნობრივი ჯგუფები უზრუნველყოფილი იქნებიან შესაბამისი სამედიცინო მომსახურებით და სამკურნალო მედიკამენტებით;
- განხორციელდება ეფექტიანი სახელმწიფო პროგრამები საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და პრიორიტეტულ სფეროებში მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის სამედიცინო მომსახურების მისაწოდებლად;
- გაიზრდება ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების მიზნობრიობა და ეფექტიანობა ადგილობრივი ხელისუფლების ჩართულობით;
- განხორციელდება ჯანდაცვის სფეროს უმთავრესი პრიორიტეტის – პირველადი ჯანდაცვის სისტემის რეფორმის მომდევნო ეტაპი. გაიზრდება სისტემის „მეკარიბჭის“ ფუნქცია – უზრუნველყოფილი იქნება მოსახლეობის ავადობის ადრეული გამოვლენა და შეკავება;
- გაიზრდება სოფლის ექიმისა და ოჯახის ექიმის როლი და მნიშვნელობა;
- გაიზრდება მუნიციპალიტეტის მხრიდან ჯანმრთელობის დაცვის სფეროს დაფინანსება;
- დაიხვეწება და გაფართოვდება ჯანმრთელობის დაცვის მუნიციპალური პროგრამები;
- მუნიციპალიტეტი ხელს შეუწყობს დაავადებულთა სასიცოცხლო მნიშვნელობის მკურნალობის ჩატარებას;
- მუნიციპალიტეტი განახორციელებს მის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის ჯანმრთელობაზე მეთვალყურეობას და ჯანმრთელობის რისკებისა და საგანგებო სიტუაციების ქმედით მონიტორინგს და მათზე რეაგირებას.



დედოფლისწყაროს საავადმყოფო

# სოციალური დაცვა

**2012 წლის შემდეგ, 2,7-ჯერ – 1,7 მილიარდიდან 4,7 მილიარდ ლარამდე გაიზარდა სოციალური დაცვის სფეროს დაფინანსება.**

**2012 წლის შემდეგ, ეტაპობრივად გაიზარდა სახელმწიფო პენსიის ოდენობები:** 2012 წლისათვის **საპენსიო ასაკის პირთა პენსია** 100 ლარი იყო, 2020 წლის იანვრიდან 2,2-ჯერ მეტი – 220 ლარი, **70 წლის და მეტი ასაკის მოქალაქეთა პენსია** – 250 ლარი; 2021 წლიდან პენსიის ოდენობა 240 ლარით განისაზღვრა, 70 წელს გადაცილებულთა კი -275 ლარით. 2016 წლიდან განისაზღვრა პენსიის დანამატი **მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეებისათვის**, რაც შეადგენს ასაკით პენსიის ოდენობის 20%-ს (264 ლარის ნაცვლად 288 ლარი, ხოლო მთაში მცხოვრები 70 წლის და მეტი ასაკის პენსიონერი – 330 ლარი). დანამატს იღებენ მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები სოციალური პაკეტის მიმღები პირები (დანამატი – სოციალური პაკეტის 20%). 2017 წლის იანვრიდან გათვალისწინებულია მაღალმთიანი აბონენტის (საყოფაცხოვრებო მომხმარებლის) მიერ მაღალმთიან დასახლებაში მოხმარებული ელენერგიის ყოველთვიური საფასურის 50%-ის ანაზღაურება (არა უმეტეს 100 კვტ/სთ). **დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში,** სახელმწიფო პენსიის მიმღებია 5177 პირი 01.04.2021 წ. მდგომ.). 2012 წლის შემდეგ, 2,1-ჯერ – 6 879 904-დან 14 207 440 ლარამდე გაიზარდა პენსიების ანაზღაურებაზე გაწეული ხარჯი. 2013-2021 წლებში, სულ 92 867 482 ლარი დაიხარჯა. **სახელმწიფოს წინაშე განსაკუთრებული სამსახურის** გავლის, აგრეთვე ამ პირთა მიერ შესაბამისი ასაკის მიღწევის, **შესაძლებლობის შეზღუდვის** და **გარდაცვალების გამო** გასაცემი კომპენსაციის ოდენობა. **დედოფლისწყაროში** სახელმწიფო კომპენსაციის მიმღები (01.04. 2021 წ. მდგომ.) 77 პირია. 2012 წლის შემდეგ, კომპენსაციებზე გაწეული ხარჯი 4,6-ჯერ – 78 196-დან 397 450 ლარამდე გაიზარდა, 2013-2021 წლებში, სულ სახელმწიფო კომპენსაციებზე 2 484 791 ლარი გაიცა.

**მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფების სოციალური დახმარების პროგრამის ფარგლებში,** სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული, სიღარიბის ზღვარსქვემოთ მყოფი ოჯახები უზრუნველყოფილნი არიან მიზნობრივი სოციალური დახმარებით – საარსებო შემწეობით. პროგრამით ასევე გაიცემა: ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ახალშობილის შვილადაყვანის გამო დახმარების, ლტოლვილთა და დევნილთათვის შემწეობების, შრომითი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანის ანაზღაურება და სხვ. **დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში,** სოციალური დახმარებით უზრუნველყოფილი სიღარიბის ზღვარსქვემოთ მყოფი 1086 ოჯახია (01.04.2021 წ. მდგომ.). 2012 წლის შემდეგ, 1,7-ჯერ – 1 419 ათასიდან 2479 ათასი ლარამდე გაიზარდა საარსებო შემწეობებზე გაწეული ხარჯი. 2013-2021 წლებში, საარსებო შემწეობაზე სულ დაიხარჯა 20 143 ათასი ლარი, მათ შორის პენსიონერებზე – 4881 ათასი, შშმ პირებზე – 1 258 ათასი, ბავშვებზე 7 409 ათასი ლარი. **შშმ პირები, მარჩენალდაკარგულები და სხვა სოციალურ კატეგორიებს მიკუთვნებულ პირთა წრე** ყოველთვიურად უზრუნველყოფილია სოციალური პაკეტით – **დედოფლისწყაროში,** სოციალური პაკეტით სარგებლობს 823 მიზნობრივი ჯგუფი (01.04.2021 წ. მდგომ.), 2012 წლის შემდეგ, გაწეული ხარჯი 6,3-ჯერ – 211 757-დან 1 324 443 ლარამდე გაიზარდა. 2013-2021 წლებში, სულ დაიხარჯა 8 747 232 ლარი.



**დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში 30 დევნილია** (01.04.2021 წ. მდგომ.). 2012 წლის შემდეგ, 11 760 ლარიდან 18 675 ლარამდე გაიზარდა შემწეობებზე გაწეული ხარჯი. 2013-20121 წლებში, სულ დაიხარჯა 138 111 ლარი. **დევნილებზე** ზრუნვა, მათი განსახლება და სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება სახელმწიფოს ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია. 2013 წლიდან, განსახლების კრიტერიუმების შესაბამისად, დევნილებს ახალაშენებულ კორპუსებში ბინები და სოფლად სახლები გადაეცემათ. 2013 წლიდან (07.2021 წ. მონაც.), საქართველოს მასშტაბით, განსახლების პროგრამებით, საცხოვრებელი ფართები 23 068-მდე დევნილ ოჯახს გადაეცა, მათგან **დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში** დაკმაყოფილდა 4 ოჯახი, მათ შორის: პროექტით „სოფლად სახლი“ სახელმწიფომ სახლი 3 ოჯახს შეუსყიდა; სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ფართი 1 ოჯახს დაუკანონდა. **საქართველოს მასშტაბით, მიმდინარე წლის ბოლომდე, დამატებით, 1 359 დევნილი ოჯახი განსახლდება.** ასევე გრძელვადიანი საცხოვრებლით სახელმწიფომ, საქართველოს მასშტაბით, 1997 **ეკომიგრანტი ოჯახი** დააკმაყოფილა: 2013-2021 წ.წ. 667 ოჯახს დაუკანონდა საცხოვრებლი ფართი და მიწის ნაკვეთი, 386 დაკანონების პროცესშია. **დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის პროგრამით** (მესამე და მომდევნო ბავშვი) **დედოფლისწყაროში,** დაფინანსებულია 147 ბენეფიციარი (1.04,2021 წ. მდგომ.), 2016-2021 წლებში, სულ დაიხარჯა 1 401 000 ლარი, მათ შორის, 2020 წელს – 248 550 ლარი.

**ახალი კორონავირუსის გლობალურ გამოწვევასთან სწრაფად და ეფექტიანად გამკლავების მიზნით, სოციალური დაცვის მიმართულებით გატარდა მნიშვნელოვანი ღონისძიებები, კერძოდ:** სახელმწიფო გასაცემლების უწყვეტად გაცემა, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის იურიდიული ძალის შენარჩუნება და სოციალური პაკეტის უწყვეტად გაგრძელება, იანვრიდან შეჩერებული საარსებო შემწეობების განახლება და საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახებისთვის ფულადი დახმარების გაცემის უწყვეტობის უზრუნველყოფა და სხვ. **ახალი კორონავირუსით გამოწვეული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების გამო, მოსახლეობის სოციალური დახმარების მიზნით,** 2020-2021 წ.წ, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყო 193 014 865 ლარი, აქედან დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტზე გამოყოფილმა დაფინანსებამ შეადგინა – 1 501 725 ლარი. **სახელმწიფო დახმარების მიღების უფლება 6 თვის ვადით მოიპოვეს:** სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებულმა (65001-100000 ქულა) ოჯახებმა, წევრთა რაოდენობის შესაბამისად **(1-წევრიანი – 70 ლ; 2-წევრიანი – 90 ლ; 3 და მეტი წევრი, თითოეულზე – 35 ლ).** პროგრამაში, მუნიციპალიტეტში ჩართული იყო 800 ოჯახი, 2021 წელს – 890 ოჯახი. **ყოველთვიური დახმარება (თვეში 100 ლარი)** განისაზღვრა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული 100 000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახებისთვისაც, რომელთაც ჰყავთ 3 ან მეტი 16 წლის ჩათვლით ასაკის შვილი. პროგრამით დედოფლისწყაროში, 2020 წელს ისარგებლა 208 ოჯახმა, 2021 წ. (ივნისის მონაცემებით) – 237-მა. **მკვეთრად გამოხატული შშმ პირებისა და 18 წლამდე შშმ ბავშვებისთვის,** სოციალური პაკეტის დახმარებასთან ერთად, დამატებით 100 ლარი (6 თვით) – მუნიციპალიტეტში პროგრამაში, 2020 წ. ჩაერთო 187 პირი, 2021 წ. (ივნისის მდგომარეობით)– 195.

**„ახალი კორონავირუსით (SARS-COV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) შედეგად მიყენებული ზიანის შემსუბუქების მიზნობრივი, სახელმწიფო პროგრამის** დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 მაისის №286 დადგენილების თანახმად, სსიპ დასაქმების სახელწიფო სააგენტო განისაზღვრა პროგრამის ერთ-ერთ განმახორციელებელ უწყებად. სააგენტოს დაევალა კომპენსაციების გაცემა იმ დასაქმებულ/თვითდასაქმებულთათვის, ვინც პანდემიის შედეგად სამსახური ან შემოსავალი დაკარგა. **დაქირავებით დასაქმებულებისთვის კომპენსაციის ოდენობა თვეში 200 ლარი 6 თვით,** გაიცა ორ ეტაპად: I ეტაპი -2020 წლის მაისიდან დაიწყო და 162 271-მა პირმა მიიღო 131 237 800 ლარი; II ეტაპი -2021 წლის იანვრიდან 157 638-მა პირმა მიიღო 141 947 400 ლარი. არაფორმალური თვითდასაქმებულების იდენტიფიცირებისა და მათთის ერთჯერადი კომპენსაციების გაცემის მიზნით, შეიქმნა უწყებათაშორისი კომისია, ხოლო სააგენტომ შეასრულა კომისიის სამუშაო ჯგუფის ფუნქციები. **ერთჯერადი 300 ლარიანი კომპენსაცია** მიიღო 248 867-მა ფორმალურმა და არაფორმალურმა თვითდასაქმებულმა, ჯამში გადაირიცხა 74 660 000 ლარი. 2020 წლის 4 დეკემბრიდან დაიწყო ერთჯერადი, 300 ლარიანი კომპენსაციების გაცემის მეორე ტალღა იმ პირებისთვის, ვისაც შეეხო შეზღუდვები, დაკარგეს შემოსავალი ან შეუჩერდათ ეკონომიკური საქმიანობა – 121 634 პირზე ჯამში გადაირიცხა 36 490 200 ლარი. **დაქირავებით დასაქმებულებისთვის, რომლებმაც დაკარგეს სამსახური ან იყვნენ უხელფასო შვებულებაში, დაწესდა ფინანსური დახმარება 1200-ლარიანი კომპენსაციის სახით** (6 თვე თვეში – 200-200 ლ). ახალი კორონავირუსით გამოწვეული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების გამო, მოსახლეობის სოციალური დახმარების მიზნით, 2020 წ. კომპენსაცია ჯამში მიიღო 162 271-მა ერთეულმა პირმა (131 237 800 ლ), 2021 წელს ჯამში გაიცა 141 909 200 ლარის კომპენსაცია.

2013 წელთან შედარებით, **გაიზარდა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სოციალური დაცვის სფეროს დაფინანსება.** 2020 წელს, სოციალური დაცვის ხარჯებმა და არაფინანსური აქტივების ზრდამ 700,4 ათასი ლარი შეადგინა (2013 წ. – 458,0 ათასი ლ). დედოფლისწყაროში, 2012 წლიდან დღემდე ხორციელდება **სოციალური დახმარების 16 მუნიციპალური პროგრამა და 14 ქვეპროგრამა.**

## ინფრასტრუქტურული პროექტები

**2014-2020 წლებში, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში, განხორციელდა/მიმდინარეობს შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტები:** ამბულატორიების მოწყობა/ნაწილობრივი რეაბილიტაცია სოფლებში: არბოშიკი (6 785 ლ). ზემო ქედი (10 490 ლ), ფიროსმანი (11 824 ლ), ზემო მაჩხაანი (20 288 ლ), ქვემო ქედი (8 153 ლ), გამარჯვება (34 811 ლ), არხილოსკალო (13 590 ლ); ქ. დედოფლისწყაროში, სსიპ საგანგებო სიტუაციების კორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ახალი ცენტრის მშენებლობა (293 348 ლ).

**სამართლიანი, გამჭვირვალე და ეფექტიანი სოციალური დაცვის სისტემის ფუნქციონირების, სიღატაკის დაძლევისა და სიღარიბის შემცირების, მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის შემდგომი გაუმჯობესებისა და დასაქმების უზრუნველყოფის მიზნით:**

- შეიქმნება მდგრადი, ეფექტიანი, კოორდინირებული სოციალური დაცვის სისტემის საკანონმდებლო გარანტიები;
- გაუმჯობესდება სოციალური დაცვის მექანიზმები, ყოველი მოქალაქის სხვადასხვა სოციალური რისკებისაგან დაცვის მიზნით;
- გაუმჯობესდება დასაქმებისა და სოციალური გასაცემლების სისტემა;
- გაიზრდება სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების ხარისხი და ხელმისაწვდომობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად;
- მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი ოჯახები კვლავ უზრუნველყოფილნი იქნებიან საარსებო შემწეობით;
- გაგრძელდება მიზნობრივი ჯგუფებისათვის სოციალური პაკეტის გაცემა;
- გაგრძელდება დემოგრაფიული მდგომარეობის ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელება;
- გაიზრდება სოციალური დაცვის სახელმწიფო პროგრამების მიზნობრიობა და ეფექტიანობა ადგილობრივი ხელისუფლების ჩართულობით;
- გაიზრდება მუნიციპალიტეტის მხრიდან სოციალური დაცვის სფეროს დაფინანსება;
- დაიხვეწება და გაფართოვდება სოციალური სფეროს მუნიციპალური პროგრამები.

ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო 41

# განათლება

**განათლების სისტემის განვითარება „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია. 2012 წლის შემდეგ, საქართველოში განხორციელდა ფუნდამენტური სისტემური ცვლილებები მაღალი ხარისხის განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად. მათ შორის, შეიქმნა განათლების სისტემის ფინანსური მდგრადობის უზრუნველმყოფი საკანონმდებლო გარანტიები, დაიხვეწა ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სისტემის მარეგულირებელი კანონმდებლობა, დადგინდა და დაინერგა ძირითადი სტანდარტები.**

განათლებისა და მეცნიერების სფეროში გადადგმული თითოეული ნაბიჯი გრძელვადიან პერსპექტივაზეა გათვლილი. ამის დასტურია ის, რომ **2012 წელთან შედარებით, მნიშვნელოვნად, 2,5-ჯერ გაიზარდა განათლებისა და მეცნიერების დაფინანსება. 4-ჯერ გაიზარდა სკოლამდელი განათლების, თითქმის 2-ჯერ – ზოგადი განათლების, 5,3-ჯერ – პროფესიული განათლების და 2-ჯერ – უმაღლესი განათლების ბიუჯეტი. მასწავლებლის საბაზო ხელფასის ზრდამ – 65%, ხოლო საშუალო ხელფასის – 120%-შეადგინა. 600 000-მდე მოსწავლე უზრუნველყოფილია სასკოლო სახელმძღვანელოებით.** 2019 წლის 1 ოქტომბრიდან დაიწყო საჯარო სკოლებისა და საბავშვო ბაღების პედაგოგთა ხელფასების ზრდა და ეს პროცესი მომდევნო წლებშიც გაგრძელდება.

2013-2020 წლებში, საქართველოში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა **მშენებლობა-რეაბლიტაციისა და აღჭურვის** მიზნით 427 მლნ 789,3 ათასი ლარი დაიხარჯა. მათ შორის, 2017-2020 წლებში – 289 მლნ 137,8 ათასი ლარი.

**2012-2020 წ.წ. დასრულებულია 68 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა,** ამ ეტაპზე მიმდინარეობს 4 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა, დასრულებულია 140-მდე სკოლის **სრული რეაბილიტაცია**, მათ შორის „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველოსა“ და სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ სრულად რეაბილიტირდა 91 საჯარო სკოლა, ნაწილობრივ სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა 1300-ზე მეტ საჯარო სკოლის შენობას.

**2017-2020 წლებში დასრულებულია 42 საჯარო სკოლის (მათ შორის, 19 მცირეკონტინგენტიანი საჯარო სკოლა) სამშენებლო სამუშაოები და მიმდინარეობს 4 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა, ამასთან, მიმდინარე წელს იგეგმება დამატებით 2 ახალი სკოლის მშენებლობის დაწყება. დასრულებულია 83 სკოლის სრული რეაბილიტაცია, მათ შორის „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველოსა“ და სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ სრულად რეაბილიტირდა 41 საჯარო სკოლა, ნაწილობრივ სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა 500-ზე მეტ საჯარო სკოლის შენობას;**

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაფინანსებით, საჯარო სკოლებში ფუნქციონირებს **608 სამედიცინო** კაბინეტი (სკოლის ექიმი). საჯარო სკოლებში დასაქმებულია **145 ფსიქოლოგი**.

„ქართულმა ოცნებამ“ ფუნდამენტური ცვლილებები განახორციელა **პროფესიული განათლების** სისტემის განსავითარებლად. 2013 წლიდან დღემდე პროფესიული განათლების განვითარებისთვის სახელმწიფომ, ჯამში, 300 მილიონ ლარზე მეტი გამოყო, მათ შორის, პროფესიული კოლეჯების მშენებლობა/რეაბილიტაცია/აღჭურვის მიზნით დაიხარჯა 100 მლნ ლარზე მეტი. დაფუძნდა 8 ახალი პროფესიული დაწესებულება და არსებულ ქსელს დაემატა 16 ახალი ლოკაცია. ყველა სახელმწიფო კოლეჯს ჩაუტარდა სრული ან ნაწილობრივი რეაბილიტაცია, აშენდა 2 ახალი საერთო საცხოვრებელი. 10-ზე მეტ პროფესიულ დაწესებულებას ჩაუტარდა სრული რეაბილიტაცია, მათგან 4 კოლეჯში რეაბილიტაცია განხორციელდა უნივერსალური დიზაინის ნორვეგიული




სტანდარტის შესაბამისად. 14 პროფესიულ დაწესებულებაში მოეწყო ინოვაციური ლაბორატორიები (FABLAB). 2021 წელს საკვალიფიკაციო ან/და მომზადება/გადამზადების პროგრამებზე სტუდენტს/მსმენელებს პირველად მიიღებენ ახლად განვითარებული კოლეჯები/ფილიალები კასპში, მარნეულში, დუშეთში, ჩოხატაურში (გორაბერეჟოული), ქედაში, ფოთსა და შუახევში. მიმდინარეობს დამატებით 5 პროფესიული დაწესებულების/ფილიალის სამშენებლო სამუშაოები, რომლებიც სამშენებლო და სატრანსპორტო მიმართულებებით საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის კადრებს მოამზადებენ. 2018 წელს დამტკიცდა ახალი კანონი „პროფესიული განათლების შესახებ“, რომელმაც შესაძლებელი გახადა ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან კიდევ უფრო მეტად დაახლოება. რეფორმის ფარგლებში, გაიზარდა ვაუჩერული დაფინანსება; ჩამოყალიბდა პროფესიული განათლების მართვის ახალი მოდელი, რომელიც კიდევ უფრო გააძლიერებს კერძო სექტორის ჩართულობას პროფესიულ განათლებაში; დაინერგა ინტეგრირებული პროგრამები, რომელთა გავლის შემდეგ საბაზო (9 კლასი) განათლების მქონე პირი სრული ზოგადი განათლების ატესტატთან გათანაბრებულ დიპლომს მიიღებს; შეიქმნა ზრდასრულთა მომზადება-გადამზადების შესაძლებლობა, რაც დააკმაყოფილებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს; გაძლიერდა ინკლუზიური პროფესიული განათლება და სხვ.

2012 წლის შემდეგ, 2,1-ჯერ, გაიზარდა **უმაღლესი განათლების** დაფინანსება. **უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისა და სტუდენტთა მხარდაჭერის მიზნით:** სახელმწიფო სასწავლო და სამაგისტრო გრანტებით ყოველწლიურად სრულად/ნაწილობრივ ფინანსდება 30 000-მდე სტუდენტი; გაიზარდა სოციალური პროგრამებისა და მაღალი აკადემიური მიღწევების მქონე სტუდენტთა მხარდაჭერის (სტიპენდიების) პროგრამის დაფინანსება; სოციალური პროგრამებით, ყოველწლიურად, ფინანსდებიან სტუდენტები უმაღლესი განათლების I-II საფეხურებზე (წლიური ბიუჯეტი 2 მლნ 725 ათასი ლარი); დაფინანსება გამოეყოფათ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს, რომლებიც საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლას აგრძელებენ ერთიანი ეროვნული/სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე (წლიური ბიუჯეტი – 285 ათასი ლარი); სახელმწიფო აგრძელებს გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული სტუდენტების სწავლის დაფინანსებას (პროგრამის ბიუჯეტი – 5 მლნ ლარი); გაიცემა სახელმწიფო სტიპენდიები წარმატებული სტუდენტებისთვის (პროგრამის ბიუჯეტი – 4,7 მლნ ლარი); დაფინანსებას მოიპოვებენ სტუდენტები, რომლებიც ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული უმაღლესი განათლების აღიარების საფუძველზე სწავლას აგრძელებენ საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში (პროგრამის ბიუჯეტი – 20 ათასი ლარი); ყოველწლიურად ფინანსდება და, 2014-2019 წლებში, 800-ზე მეტი სასწავლო სტიპენდია გაიცა წარმატებული ახალგაზრდების მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში სწავლისათვის. 2016 წლიდან ამოქმედდა და სახელმწიფოს მიერ სრულად ფინანსდება მასწავლებლის მომზადების 60-კრედიტიანი პროგრამები. 2019 წლიდან ამოქმედდა სკოლის შემდგომი განათლებისათვის მომზადების პროგრამა. პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებით, დადგენილი წესის შესაბამისად, სარგებლობენ ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები პირები, რომლებიც ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გარეშე ირიცხებიან საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, სახელმწიფო აფინანსებს მათი სწავლის საფასურს. 2019 წლიდან მსჯავრდადებულებს, რომლებიც წარმატებით ჩააბარებენ ერთიან ეროვნულ/სამაგისტრო გამოცდებს, შესაძლებლობა აქვთ ისწავლონ შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამებზე.

2012 წლის შემდეგ, 80%-ით გაიზარდა სახელმწიფო ბიუჯეტით **მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევების** ხელშეწყობის დაფინანსება. 2015 წლიდან სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების დაფინანსება 2-ჯერ, ხოლო მეცნიერთა ხელფასები, საშუალოდ, 3-ჯერ გაიზარდა. სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტებისათვის ამოქმედდა პროგრამული დაფინანსების მექანიზმი და სადღეისოდ ფინანსდება 47 კვლევითი ინსტიტუცია.

## სკოლამდელი აღზრდა და განათლება

**სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი საკუთარი უფლებამოსილება და პრიორიტეტია.**

დედოფლისწყაროში ფუნქციონირებს 17 მუნიციპალური საბავშვო ბაღი (4 – ქ. დედოფლისწყაროში, 13 – სოფლად).

**2013 წლის შემდეგ საქართველოს მასშტაბით საბავშვო ბაღები გახდა უფასო. მნიშვნელოვნად გაიზარდა, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების დაფინანსება.** 2020 წელს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში განათლების სფეროს ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდა 2 მლნ 865,8 ათასი ლარით განისაზღვრა, მათ შორის, 1 მლნ 646,5 ათასი, სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მიმართულებით, 2013 წელს კი შესაბამისი მაჩვენებელი 400 ათასი ლარი იყო.

**2013-2021 წლებში რეაბილიტაცია ჩაუტარდა მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ საბავშვო ბაღებს. მათ შორის: 2013 წელს** განხორციელდა საბავშვო ბაღების რეაბილიტაციის 15 პროექტი (ჯამში, 257,1 ათასი ლარი). **2014 წელს** – საბავშვო ბაღების რეაბილიტაციის 11 პროექტი, ჯამში, 301,7 ათასი ლარით დაფინანსდა; **2015 წელს** განხორციელდა საჯარო ბაღების რეაბილიტაციის 5 პროექტი (ჯამურად, 138,9 ათასი ლარი). **2016 წელს** საბავშვო ბაღების რეაბილიტაციის 5 პროექტი, ჯამში, 311,2 ათასი ლარით დაფინანსდა. ასევე განხორციელდა სოფ. ზემო ქედაში საბავშვო ბაღისთვის ატრაქციონების შეძენა-მონტაჟი, სოფ. ფიროსმანში საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია, ქ. დედოფლისწყაროში სკოლამდელი და სკოლის გარეშე სააღმზრდელო ცენტრის ნაწილობრივი რეაბილიტაცია (სულ 869 ათასი ლარი). **2017 წელს** ჩატარებულია სარეაბილიტაციო სამუშაოები სოფ. ზემო მაჩხაანისა (84 ათასი ლარი) და მირზაანის (35,2 ათასი ლარი) საბავშვო ბაღებში. **2018 წელს** სოფ. არხილოსკალოს საბავშვო ბაღის შენობის რეაბილიტაციას 102,8 ათასი ლარი მოხმარდა. **2019 წელს** ჩატარებული სარეაბილიტაციო სამუშაოები: სოფ. ქვემო ქედის, სამრეკლოს, ქ. დედოფლისწყაროს №2 საბავშვო ბაღებში ( 18, 5 ათასი ლარი); სოფ. სამრეკლოს საბავშვო ბაღი (14,4 ათასი ლარი). **2020 წელს** დასრულდა სოფ. ხორნაბუჯში საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქცია და 50 ბავშვზე გათვლილი, ახალი, ერთსართულიანი საბავშვო ბაღის მიშენება (847, 3 ათასი ლარი, მუნიციპალური განვითარების ფონდი); **რეგიონული განვითარების ფონდიდან დაფინანსდა:** სოფ. საბათლოში საჯარო სკოლის შენობაში არსებული ფართის საბავშვო ბაღის ერთი ჯგუფისთვის მომზადება (157,7 ათასი ლარი), მუნიციპალიტეტის სოფლებისა და ქ. დედოფლისწყაროს საბავშვო ბაღების სველი წერტილების, პროდუქტების შესანახი ოთახების, სამზარეულოების სარეაბილიტაციო სამუშაოები. **2020-2021 წლებში, საბავშვო ბაღების რეაბილიტაციაზე 250,2 ათასი ლარი დაიხარჯა, განხორციელდა:** სოფ. საბათლოს,

41 ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო

ზემო მაჩხაანის, მირზაანის, არხილოსკალოს, ქ. დედოფლისწყაროს №1, №2, №3, №4, სამრეკლოს, ოზაანის, გამარჯვების, ზემო და ქვემო ქედის, სამთაწყაროს საჯარო ბაღების რეაბილიტაცია. 17 საბავშვო ბაღი აღიჭურვა ჯანმრთელობის სამინისტროს მიერ რეკომენდებული სანიტარულ-ჰიგიენური რესურსით.

**შესრულებული სამუშაოების შედეგად,** 2021 წელს, 2013 წელთან შედარებით, საბავშვო ბაღებში აღსაზრდელთა რაოდენობა 436-დან 840-მდე გაიზარდა. 0.85-დან 3.75 ლარამდე გაზრდილია **კვების** თანხა თითოეულ აღსაზრდელზე, რითაც სრულფასოვანი გახდა ბავშვთა კვების რაციონი. **სასკოლო მზაობის პროგრამა** დანერგილია სკოლამდელი აღზრდის 15 დაწესებულების 15 ჯგუფში, სადაც 362 ბავშვია. დაწესებულებებში დასაქმებულია 41 აღმზრდელი (მათგან 16 – სასკოლო მზაობის ჯგუფებში). აღმზრდელების ხელფასები 2012 წლის შემდეგ, 130-დან 400 ლარამდე გაიზარდა. საბავშვო ბაღებს 17 ექიმი/ექთანი და 1 ფსიქოლოგი ემსახურება.

## ზოგადი განათლება

**მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 15 საჯარო სკოლა (ქალაქში – 2, სოფლად – 13),** სადაც 2472 მოსწავლე და 357 მასწავლებელია. მულტიდისციპლინური გუნდის მიერ, 2020 წლის მაისის მდგომარეობით, იდენტიფიცირებულია 65 სსსმ მოსწავლე, სკოლებს 15 სპეციალური მასწავლებელი ემსახურება. მუნიციპალიტეტის 2 საჯარო სკოლაში წესრიგსა და უსაფრთხოებას 4 **მანდატური** იცავს.

**2013-2021 წლებში, ზოგადი განათლების სფეროში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში, განახორციელა სხვადასხვა მიზნობრივი, საგანმანათლებლო და ტრენინგპროგრამა, მათ შორის:** 2017-2019 წლებში, **ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით უზრუნველყოფის პროგრამით,** 6 საჯარო სკოლას 107 კომპიუტერი გადაეცა. 2018-2019 წლებში, **სასწავლო აქტივობების ხელშეწყობის** პროგრამით 56 სასკოლო პროექტი დაფინანსდა, **ზოგადი განათლების ხელშეწყობის** პროგრამით, 2013-2019 წლებში, **ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადებში** 1765 მოსწავლე მონაწილეობდა. **„ახალი სკოლის მოდელის“** ფარგლებში, 2019 წელს საჯარო სკოლებს 22 კომპიუტერი გადაეცათ. 2018-2019 წლებში, **ოპტიკური კავშირითა და მაღალსიჩქარიანი ინტერნეტით** საჯარო სკოლების აღჭურვის 18 პროექტი და **რადიოტექნოლოგიითა და გაუმჯობესებული კავშირის სიჩქარით** უზრუნველყოფის 15 პროექტი განხორციელდა. 2015-2019 წლებში, **მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, სასკოლო ავეჯით, სპორტული ინვენტარითა და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიებით აღჭურვი**ს 35 პროექტი განხორციელდა. **მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის პროგრამით** 8 საჯარო სკოლის (14 მიმართულება) 395-მა მოსწავლემ ისარგებლა (2018-2019 ს/წ I სემესტ.). 2017-2020 წლებში, საჯარო სკოლებში, ჯამში, 657 **სასკოლო ჟურნალი** და 62675 **სახელმძღვანელო** დარიგდა. 2013-2019 წლებში, პირველკლასელებს 1508 კომპიუტერი გადაეცათ, კლასის დამრიგებლებს – 113, წარჩინებულ მოსწავლეებს -195. დედოფლისწყაროში, 2013-2019 წლებში, ჯამში, 172 **ოქროსა და ვერცხლის მედალოსანი** გამოვლინდა. **ექიმის კაბინეტი** ფუნქციონირებს 5 საჯარო სკოლაში. არაქართულენოვან სკოლებს ქართული ენის 6 კონსულტანტ-მასწავლებელი ემსახურება. **ადაპტირებულია** 7 საჯარო სკოლა. **მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მიზნობრივი პროგრამებით** კონსულტანტ-მასწავლებლებმა, ადგილობრივმა და უცხოელმა მასწავლებლებმა გაიარეს ტრენინგმოდულები.

**ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამით, 2013-2021 წლებში,** მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების ნაწილობრივი რეაბილიტაციის 36 პროექტი განხორციელდა. ადაპტირებულია 12, ცენტრალური გათბობით კი აღჭურვილია 8 საჯარო სკოლა. ოპერირებისა და მოვლა-პატრონობის პროგრამაში 2 საჯარო სკოლა (გამარჯვებისა და ზემო ქედის) მონაწილეობს. მათ შორის, **2013 წელს,** რეაბილიტაცია ჩაუტარდა 9 სკოლას (სულ 751,7 ათასი ლარი); **2014 წელს** რეაბილიტირდა 2 საჯარო სკოლა (სულ 60,5 ათასი ლარი). **2015 წელს** განხორციელდა საჯარო სკოლების რეაბილიტაციის 7 პროექტი (სულ 265 ათასი ლარი) და ქ. დედოფლისწყაროს პროფესიული კოლეჯის „აისის“ რეაბილიტაცია (482 ათასი ლარი). **2016 წელს** განხორციელდა სოფელ არბოშიკის სკოლის რეაბილიტაცია (39,6 ათასი ლარი) და ქ. დედოფლისწყაროს პროფესიული კოლეჯის „აისის“ რეაბილიტაცია (125,5 ათასი ლარი). **2017 წელს დაფინანსდა** სოფელ სამრეკლოს საჯარო სკოლის რეაბილიტაცია (41, 8 ათასი ლარი); ქ. დედოფლისწყაროს №1 სკოლის გათბობის სისტემის მოწყობა (113,5 ათასი ლარი); ხორნაბუჯის სკოლის სამედიცინო ოთახის მოწყობა (8,3 ათასი ლარი). **2018 წელს დაფინანსდა:** ქ. დედოფლისწყაროს №1 სკოლის გაზმომარაგების სიმძლავრის გაზრდა (11,5 ათასი ლარი); ხორნაბუჯის სკოლის ცენტრალური გათბობის რეაბილიტაცია (1,7 ათასი ლარი); ზემო ქედის №2 და გამარჯვების საჯარო სკოლების ელ. ენერგიის სიმძლავრის გაზრდა, სამთაწყაროს სკოლის გათბობის სისტემის მოწყობა. **2019 წელს** სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა სოფ. ზემო ქედის №2 და სოფ. გამარჯვების საჯარო სკოლებს. განხორციელდა გამარჯვების საჯარო სკოლის ტერიტორიის კეთილმოწყობა, საკანალიზაციო-გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა (MCC – ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის დაფინანსებით – 214, 1 ათასი ლარი); ჩატარდა დედოფლისწყაროს №1 (83,1 ათასი ლარი), სოფ. ქვემო ქედის (40 ათასი ლარი), ხორნაბუჯის (53, 6 ათასი ლარი), არბოშიკის (39,7 ათასი ლარი) საჯარო სკოლების რეაბილიტაცია, ასევე ქ. დედოფლისწყაროს №2 საჯარო სკოლის ეზოს რეაბილიტაცია (57,9 ათასი ლარი) და ზემო ქედის №2 სკოლის ტერიტორიის კეთილმოწყობა, სეპტიკის მშენებლობა (MCC – ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის დაფინანსებით – 115, 6 ათასი ლარი); **დაფინანსდა:** სოფ. ზემო მაჩხაანის საჯარო სკოლაში ელ.ენერგიის სიმძლავრის გაზრდა – 7 ათასი ლარი.

**2020-2021 წლებში** საჯარო სკოლების რეაბილიტაციის 7 პროექტის განხორციელებაზე 377,1 ათასი ლარი დაიხარჯა. **2020 წელს** აშენდა სოფელ ზემო მაჩხაანის, 300 მოსწავლეზე გათვლილი, საჯარო სკოლის ახალი შენობა. **ინფრასტრუქტურის სამინისტროს სკოლების სახელმწიფო პროგრამით,** საჯარო სკოლების სველი წერტილების რეაბილიტაციის 11 პროექტი, ჯამში, სახელმწიფო ბიუჯეტიდან 570,3 ათასი ლარით დაფინანსდა. სველი წერტილები მოეწყო: დედოფლისწყაროს №2, ოზაანის, არბოშიკის, სამრეკლოს, არხილოსკალოს, ხორნაბუჯის, ზემო მაჩხაანის (მირზაანის სასწავლო კორპუსი), ფიროსმანის, ზემო ქედის №1, ქვემო ქედის საჯარო სკოლებში.

## პროფესიული განათლება

**დედოფლისწყაროში, 2015 წელს დაფუძნდა სსიპ-საზოგადოებრივი კოლეჯი „აისის“ ფილიალი.** 2013-2020 წლებში, კოლეჯის დედოფლისწყაროს ფილიალის პროფესიულ პროგრამებზე, ჯამში, 437 სტუდენტი ჩაირიცხა (მათგან 4 – სპეციალური საგანმანათლებო საჭიროების მქონე (სსსმ) პირი). იმავე პერიოდში, პროფესიულ პროგრამებში, ჯამში, 868 სტუდენტი იყო ჩართული (მათ შორის 6 სსსმ პირი), კურსდამთავრებულია 289 სტუდენტი.

2020 წლიდან კოლეჯმა მოიპოვა უფლება, განახორციელოს ისეთი ტიპის პროფესიული პროგრამა, რომლის დასრულების შემდეგაც **გაიცემა სრული ზოგადი განათლების ატესტატთან გათანაბრებული დიპლომი. კოლეჯში ასეთი** ინტეგრირებული პროგრამები განხორციელდება შემდეგი მიმართულებებით: სატყეო საქმე, ხილისა და ბოსტნეულის გადამუშავება, შედუღება. 2020 წელს ინტეგრირებულ პროგრამებზე 15 სტუდენტი ჩაირიცხა. 2013 წლიდან, კოლეჯის მასწავლებლები გადამზადნენ პროფესიული განათლების მასწავლებელთა განვითარების სახელმწიფო პროგრამით.

2015 წელს კოლეჯს ჩაუტარდა ნაწილობრივი რეაბილიტაცია. 2016 წელს გაიხსნა ინოვაციური ლაბორატორია. 2017 წელს დასრულდა ეზოს კეთილმოწყობა (126,6 ათასი ლარი). 2017-2019 წლებში, სკოლებში პროფესიული უნარების კურსების დანერგვის მიზნით, მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში 9 პროექტი განხორციელდა. 2019 წელს, 624,3 ათასი ლარით დაფინანსდა მოდულური პროგრამების განხორციელების მიზნით, აღჭურვილობის შეძენა. 2021 წელს კოლეჯში აშენდა ახალი სასწავლო სახელოსნოები.

### „ქართული ოცნების“ უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტების – განათლებისა და მეცნიერების მიმართულებით განხორციელდება:

- საჯარო დაწესებულებებში ადრეული და სკოლამდელი განათლება დარჩება უფასო. გაიზრდება მუნიციპალიტეტის მხრიდან ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაფინანსება;
- გაგრძელდება სკოლამდელი აღზდისა და განათლების სახელმწიფო სტანდრატების დანერგვა და ყველასათვის ხელმისაწვდომი სკოლამდელი განათლების მომსახურების მიწოდება. საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფილი იქნება აღსაზრდელთა ტრანსპორტით მომსახურება;
- **2021 წელს** დაგეგმილია დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში არსებული საბავშვო ბაღებში სამფაზიანი დენის შეყვანა და შიდა ელგაყვანილობის რეაბილიტაცია – 57,5 ათასი ლარი; 14 საბავშვო ბაღში მოეწყობა ცენტრალური გათბობის სისტემები;
- უწყვეტად გაგრძელდება სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების მოდერნიზება, რაც უზრუნველყოფს ბავშვისთვის სკოლაში საჭირო მრავალმხრივი – აკადემიური, ფუნქციური, ქცევითი, ემოციური და სოციალური უნარების განვითარებას; განხორციელდება ღონისძიებები სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვებზე მორგებული განათლების მომსახურების უზრუნველსაყოფად;
- მნიშვნელოვნად გაიზრდება ზოგადი განათლების საბიუჯეტო დაფინანსება, გაიზრდება მასწავლებელთა და სკოლის ადმინისტრაციული პერსონალის შრომის ანაზღაურება;
- რეფორმის ფარგლებში დაინერგება მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებული სწავლა-სწავლების პრინციპები;
- მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით განხორციელდება დედოფლისწყაროში იდენტიფიცირებული 6-დან 16 წლამდე სკოლის მიღმა დარჩენილი ბავშვების ოჯახებთან/ფაქტობრივ მეურვეებთან კომუნიკაცია ბავშვების განათლების უფლების უზრუნველყოფის მიზნით.
- **გაგრძელდება მუნიციპალიტეტში არსებული სკოლების მშენებლობა-რეაბილიტაციის პროექტები, მათ შორის:** სოფ. ფიროსმანის საჯარო სკოლა (72,9 ათასი ლარი); სოფ. ქვემო ქედის საჯარო სკოლა (55,8 ათასი ლარი); სოფ. ზემო ქედის №1 საჯარო სკოლა (51,8 ათასი ლარი); სოფ. ხორნაბუჯის საჯარო სკოლა (58,7 ათასი ლარი); სოფ. მირზაანის საჯარო სკოლა (57,9 ათასი ლარი); სოფ. არხილოსკალოს საჯარო სკოლა (52,2 ათასი ლარი); ქ. დედოფლისწყაროს №2 საჯარო სკოლა (65,7 ათასი ლარი); სოფ. სამრეკლოს საჯარო სკოლა (53,9 ათასი ლარი), სოფ. ოზაანის საჯარო სკოლა (15,4); სოფ. არბოშიკის საჯარო სკოლა (49,8 ათასი ლარი);
- **ინფრასტრუქტურის სამინისტროს სკოლების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, განხორციელდება:** სოფელ სამრეკლოს საჯარო სკოლის ელგაყვანილობისა და სანათების მოწყობა – 24 ათასი ლარი; არხილოსკალოს საჯარო სკოლის სააქტო დარბაზის იატაკის მოწყობა და საკლასო ოთახების კარებების შეცვლა – 12,6 ათასი ლარი;
- სოფელ გამარჯვების საჯარო სკოლა ჩაერთვება MCC-ის (ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის) მოვლა-პატრონობის პროგრამის პროექტირებაში;
- **2021-2025 წლებში, დაგეგმილია** სამრეკლოსა და ხორნაბუჯის საჯარო სკოლების ელექტრიფიცირება; სოფელ სამთაწყაროს საჯარო სკოლის გამაგრება/სრული რეაბილიტაცია;
- უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეების, მასწავლებლებისა და ადმინისტრაციული პერსონალის მონაწილეობა/ჩართულობა სამინისტროს მიერ განხორციელებულ პროგრამებში, მათ შორის – ტრენინგკურსებში;
- პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, დაინერგება კვალიფიკაციების ახალი ჩარჩო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა ავტორიზაციის ახალი სტანდარტები და პროცედურები, კრედიტების ახალი სისტემა და კერძო სექტორის მიერ/მონაწილეობით პროფესიული სტანდარტების შემუშავების წესი;
- ამოქმედდება პროფესიული განათლების მასწავლებლის შედეგებზე ორიენტირებული შრომის ანაზღაურების ახალი სქემა;
- გაიზრდება უმაღლესი განათლების საბიუჯეტო დაფინანსება, შემუშავდება უმაღლესი განათლების სისტემის დაფინანსების ახალი მოდელი;
- შემუშავდება და დამტკიცდება საქართველოში მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების სტრატეგიული გეგმა, რომლის მთავარი მიზანი იქნება ქვეყნის ეკონომიკის სტრატეგიული განვითარების მოთხოვნებსა და საზოგადოების საჭიროებებზე ორიენტირებული ინსტიტუციების განვითარების ხელშეწყობა.

ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო 41

# კულტურა, სპორტი და ახალგაზრდული პოლიტიკა

**„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, 2012 წლის ოქტომბრიდან, საქართველომ მიაღწია არსებით წინსვლას, პრაქტიკულად, ყველა მიმართულებით. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა კულტურის განვითარებას, ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის მოვლა-პატრონობასა და აღდგენა-რესტავრაციას, ქვეყანაში სპორტის განვითარებასა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას. ახალგაზრდული პოლიტიკის სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების განხორციელებას.**

## კულტურა

**დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული შემდეგი დაწესებულებები:** კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრი, დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანება, რომელიც 1 რაიონულ და 12 სასოფლო (საბათლოს, სამთაწყაროს, ქვემო ქედის, არხილოსკალოს, ზემო ქედის, სამრეკლოს, ხორნაბუჯის, ოზაანის, არბოშიკის, მირზაანის, ზემო მაჩხაანის, გამარჯვების) ბიბლიოთეკას მოიცავს, ხელოვნების სკოლა, რომელიც 5 განყოფილებას (მათ შორის – სამხატვრო და მუსიკალური) აერთიანებს; ჰამლეტ გონაშვილის სახელობის ქართული გალობისა და ხალხური სიმღერის სკოლა. **მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს:** ქორეოგრაფიული ანსამბლები „შირაქი“, „ხორნაბუჯი“ და „იმედი“, ხალხური სიმღერის ფოლკლორული ანსამბლები „ქიზიყი“, „მანდილი“ და „ხორნაბუჯი“, ვოკალურ-საკრავიერო ანსამბლი, ვოკალური ანსამბლი „ედელვაისი“ (ქ. დედოფლისწყარო), საესტრადო ანსამბლი „აისელები“, თეატრალური კოლექტივი „ბარის ფშავლები“ და ბავშვთა თეატრალური სტუდია „არლეკინო“, ახალგაზრდული თეატრი „ბერიკონი“, ანსამბლი „მზის შვილები“ და „მთიელნი“ (ქვემო ქედი), საკრავიერო ანსამბლი და საბავშვო თეატრი (სოფ. ზემო ქედი), კვარტეტი „სამრეკლო“ (სოფ. სამრეკლო), ანსამბლი „განთიადი“ (სოფ. ზემო მაჩხაანი), საკრავიერო ანსამბლი (სოფ. ოზაანი), ქორეოგრაფიული ანსამბლი (სოფ. სამთაწყარო), მედოლე ბიჭუნათა ანსამბლი (სოფ. სამთაწყარო).

2013 წელთან შედარებით **გაიზარდა კულტურის სფეროს დაფინანსება.** 2020 წელს კულტურის სფეროს ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდა 751,5 ათასი ლარით განისაზღვრა, 2013 წელს კი შესაბამისი მაჩვენებელი 497,3 ათასი ლარი იყო.

**2014-2021 წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა საზოგადოების ჩართულობა კულტურულ ცხოვრებაში.** მუნიციპალიტეტში ყოველწლიურად იმართებოდა თემატური საღამოები და გამოფენები, კონცერტები და ლექცია-სემინარები, ისტორიული ძეგლების უკეთ გაცნობის მიზნით ტარდებოდა ლექცია-სემინარები, ეწყობოდა სამეცნიერო კონფერენციები, აღინიშნებოდა მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი თუ პერსონალური თარიღები, სადღესასწაულო დღეებში იმართებოდა სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიება.

**2013-2021 წლებში განხორციელდა კულტურის ობიექტების მშენებლობა-რებილიტაციის პროექტები. მათ შორის: 2013 წელს** განხორციელდა ქ. დედოფლისწყაროს კულტურის სახლის ფასადისა და სახურავის რეაბილიტაცია (25, 8 ათასი ლარი). **2014 წელი** – ქ. დედოფლისწყაროში, სახელოვნებო სკოლის რეაბილიტაცია,




სამუსიკო სკოლის, ჰ. გონაშვილის სახელობის ქართული გალობისა და ხალხური სიმღერის სკოლისა და მხარეთმცოდნეობის მუზეუმის გაზიფიცირება; გმირთა მემორიალები მოეწყო სოფ.ზემო ქედასა (18, 6 ათასი ლარი) და სოფ. ფიროსმანში (4,7 ათასი ლარი); გმირთა მემორიალებს რეაბილიტაცია ჩაუტარდა ქვემო ქედას (5,1 ათასი ლარი) და სოფ. სამრეკლოში (10,7 ათასი ლარი); **2015 წელი –** განხორციელდა ქ. დედოფლისყაროსა და სოფელ არბოშკის სახელოვნებო სკოლების ნაწილობრივი რეაბილიტაცია, ქ. დედოფლისწყაროში კულტურის სახლის გათბობა-კონდიცირების სისტემის მოწყობა, ღია ცის ქვეშ კულტურული ღონისძიებების ჩასატარებლად სცენის კონსტრუქციის შესყიდვა, ქ. დედოფლისწყაროსა და სოფ. ზემო მაჩხაანის კულტურის სახლების ნაწილობრივი რეაბილიტაცია. ქ. დედოფლისწყაროში მოეწყო ახალი ბიბლიოთეკა (56,5 ათასი ლარი, რეგიონული განვითარების ფონდი); **2015-2016 წლებში** განხორციელდა სოფელ მირზაანში, ნიკო ფიროსმანიშვილის სახლ-მუზეუმის ტერიტორიაზე არსებული მე-19 საუკუნის საცხოვრებელი სახლის სარეაბილიტაციო სამუშაოები (66,5 ათასი ლარი). **2016 წელი** – ჩატარდა სოფ. ზემო მაჩხაანში, კულტურის სახლის ნაწილობრივი რეაბილიტაცია (188,8 ათასი ლარი); სოფ. ქვემო ქედში მეორე მსოფლიო და აფხაზეთის ომებში დაღუპულთა მემორიალების რეაბილიტაცია-კეთილმოწყობა (3,7 ათასი ლარი). **2017 წელს –** განხორციელდა ბიბლიოთეკის შენობის რეაბილიტაცია სოფელ გამარჯვებაში; რეაბილიტირდა საცეკვაო დარბაზი სოფელ სამთაწყაროში (13 ათასი ლარი). განხორციელდა დედოფლისწყაროს ხალხთა მეგობრობის მუზეუმის რეაბილიტაცია (61,1 ათასი ლარი); სოფ. სამთაწყარო საცეკვაო დარბაზის რეაბილიტაცია (13 ათასი ლარი); ქ. დედოფლისწყაროს კულტურის სახლისა და სპორტდარბაზის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა (136, 8 ათასი ლარი); **2019 წელს** განხორციელდა: სოფ. ქვემო ქედში ვაჟა ფშაველას ძეგლის რეკონსტრუქცია და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა (25, 6 ათასი ლარი); სოფ. ფიროსმანში, შინდისის გმირების მემორიალის რეაბილიტაცია და პარკის კეთილმოწყობა (20,4 ათასი ლარი); სოფელ ზემო მაჩხაანის კულტურის სახლის ნაწილობრივი რეაბილიტაცია (8 ათასი ლარი). **2020 წელს** სოფ. ოზაანში არსებული გმირთა მემორიალის შემოღობვაზე 17,5 ათასი ლარი დაიხარჯა; ასევე, რეაბილიტაცია ჩაუტარდა მხარეთმცოდნეობის მუზეუმის შენობას, რომელსაც თანამედროვე სტანდარტების ორი საგამოფენო დარბაზი დაემატა და შეიღება ფასადი; ხორნაბუჯში, ხალხთა მეგობრობის მუზეუმში, კეთილმოეწყო ეზო, საკონფერენციო დარბაზი, მოწესრიგდა წყალმომარაგების ქსელი.

**2019-2020 წლებში,** ხელოვნების სკოლაში 30%-ით გაიზარდა საათობრივი და ადმინისტრაციის სახელფასო ანაზღაურება.

**მიზნობრივი პროგრამების ფარგლებში, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ მუნიციპალიტეტში განახორციელა: 2013 წელი** – რეგიონული გამოფენა სოფ. მირზაანში; **2014 წელი –** ნიკო ფიროსმანაშვილის პირადი საქმის თარგმანი გამოცემისთვის; მუზეუმ-ნაკრძალებსა და მუზეუმებში დაცული კოლექციების შეწამვლა-დამუშავება; **2015 წელი** – „მუზეუმი, ისტორია, არტეფაქტი“ – ნიკო ფიროსმანაშვილის სახელმწიფო მუზეუმი, სერიული გამოცემა; ნიკო ფიროსმანაშვილის ნამუშევრების – „შოთა რუსთაველი მაგიდასთან" და „ქალი სააღდგომო კვერცხებით“ სარესტავრაციო-საკონსერვაციო სამუშაოები; პროექტი – „კახეთის მხარის მოსწავლეები – კულტურული მემკვიდრეობის დესპანები“; „დიდნაურის“ ნაქალაქარის არქეოლოგიური სამუშაოები; ნიკო ფიროსმანის სახლ-მუზეუმის გათბობის სისტემის მოწყობა; „კინო რეგიონებში“; **2016 წელი** – „დიდნაურის" ნაქალაქარის ტერიტორიის არქეოლოგიური მომსახურება; სუვენირების მომზადება ნიკო ფიროსმანაშვილის სახელმწიფო მუზეუმში დაცული კოლექციების თემატიკაზე და ნიკო ფიროსმანაშვილის ნამუშევრების ჩასმა ხის ჩარჩოებში; ფერწერული ნამუშევრების -„თამარ მეფე" და „შოთა რუსთაველი" გაწმენდა-რესტავრაცია; „ვორქშოფი" ნიკო ფიროსმანაშვილის სახელმწიფო მუზეუმში – სამუშაო შეხვედრა ქართველი და უცხოელი მხატვრების მონაწილეობით; „დიდნაურის“ ნაქალაქარის არქეოლოგიური სამუშაოები; ღვთისმშობლის სახელობის ნაეკლესიარის გადახურვის მოწყობა (ჯამურად, 100 ათას ლარზე მეტი დაიხარჯა). **2017 წელი –** სოფ. მირზაანი, ნიკო ფიროსმანის მუზეუმის ადმინისტრაციული შენობის ინტერიერის რეაბილიტაციის პროექტი; ზემო მაჩხაანი, ნაეკლესიარის კონსერვაციის პროექტი; ელია თებზიტელის სახელობის მამათა მონასტერის ტაძრის მიმდებარედ არსებული შვეული კლდოვანი მასივის, დაძრული ლოდებისაგან გაწმენდის სამუშაოები; „დიდნაურის" ნაქალაქარის არქეოლოგია; სოფ. ზემო მაჩხაანში მდებარე ნაეკლესიარის კონსერვაცია; **2019 წელი** – განხორციელდა: სოფ. მირზაანი, ნიკო ფიროსმანაშვილის სახლ-მუზეუმის აღდგენა-რეკონსტრუქციის ფარგლებში, შენობის შესასვლელის შიდასაინჟინრო კომუნიკაციების მოწყობის სამუშაოები; ნიკო ფიროსმანის სახლ-მუზეუმის შენობის სახურავის მცირე გადაუდებელი სარეაბილიტაციო სამუშაოები; ხორნაბუჯის ტერიტორიაზე სავალი ბილიკების მოწყობის პროექტი; სოფ. მირზაანი, ნიკო ფიროსმანის სამუზეუმო შენობის რეაბილიტაციის პროექტი. **2020 წელი** – დიდი შირაქის ველზე არსებული „დიდნაურის“ ნაქალაქარისა და სამაროვნის არქეოლოგია.

**საქართველოს მასშტაბით, მათ შორის დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში, კულტურული ტურიზმის განვითარების და ხელშეწყობის მიზნით,** 2019 წელს კულტურის სამინისტრომ დააფინანსა პროექტი **„ციხე-სიმაგრეები მომავლის მცველები“** (16,2 ათასი ლარი). მუნიციპალიტეტზე გადის სამინისტროს მიერ სერტიფიცირებული კულტურული მარშრუტი **„დედაქალაქიდან დედაქალაქამდე“,** რომელიც, თავის მხრივ, ხელს უწყობს ადგილობრივი კულტურული ტურიზმის განვითარებას.

## სპორტი

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული ა(ა)იპ სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრი.

2013 წელთან შედარებით, **გაიზარდა**

41 ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო

**მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სპორტის სფეროს დაფინანსება.** 2020 წელს სპორტის სფეროს ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდა 566,6 ათასი ლარით განისაზღვრა, 2013 წელს კი შესაბამისი მაჩვენებელი 107 ათასი ლარი იყო.

**მუნიციპალიტეტის სპორტის პრიორიტეტული სახეობებია:** ქართული ჭიდაობა, ძიუდო, თავისუფალი ჭიდაობა, სამბო, ძალოსნობა, ფეხბურთი, კალათბურთი კიკბოქსინგი და რაგბი. აღსანიშნავია სპორტსმენთა შედეგეები რესბუბლიკურ, საერთაშორისო, ევროპულ და მსოფლიო ასპარეზობებზე. **2018-2021 წლებში მუნიციპალიტეტში არაერთი სპორტული ღონისძიება გაიმართა, მათ შორის:** მუნიციპალიტეტის პირველობები კალათბურთში, ფრენბურთში, მინიფეხბურთში, საჭადრაკო ტურნირები, სასკოლო ოლიმპიადები,რეგიონული პირველობა გოგონებსა და ვაჟებს შორის მაგიდის ჩოგბურთში, სხვადასხვა პიროვნების ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირები მკლავჭიდში, ქართულ და თავისუფალ ჭიდაობაში, რესპუბლიკური ტურნირი გარდამავალ თასზე ფეხბურთში, საერთაშორისო ტურნირი კიკბოქსინგში და სხვ.




**2021 წელს, ტოკიოს 2020 წლის ოლიმპიადის ერთ-ერთი ტრიუმფატორი დედოფლისწაროს წარმომადგენელია – არხილოსკალოელი ლაშა ბექაური, 2021 წლის 28 ივლისს, 90 კგ წონით კატეგორიაში, ოქროს მედლის მფლობელი გახდა.**

**2014-2021 წლებში განხორციელდა მუნიციპალიტეტის სპორტული ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაციის არაერთი პროექტი. მათ შორის: 2014-2018 წლებში:** სოფ. თავწყაროში სპორტული მოედნის მოწყობა (5,4 ათასი ლარი); სოფ. გამარჯვებაში თანამედროვე სტანდარტების ხელოვნურსაფარიანი მინი სპორტული მოედნის მოწყობა (37,8 ათასი ლარი); სოფ. ხორნაბუჯში თანამედროვე სტანდარტების ხელოვნურსაფარიანი მინი სპორტული მოედნის მოწყობა (39,6 ათასი ლარი); ქ. დედოფლისწყაროში თანამედროვე სტანდარტების ხელოვნურსაფარიანი მინი სპორტული მოედნის მოწყობა (29,8 ათასი ლარი); სოფ. გამარჯვებაში სპორტდარბაზის მოწყობა და ინვენტარის შეძენა (12 ათასი ლარი); ქ. დედოფლისწყაროში (ნიკორციხის ქუჩაზე) მინი სპორტული მოედნის რეაბილიტაცია (18,1 ათასი ლარი); სოფ. ქვემო ქედაში მინი სტადიონის მოწყობა (34,9 ათასი ლარი); სოფ. არხილოსკალოს საჭიდაო მოედანზე სცენის კონსტრუქციის მოწყობა (6 ათასი ლარი); სოფ. ოზაანისთვის სპორტული ინვენტარის შესყიდვა და ინვენტარისთვის ოთახის რეაბილიტაცია (9,8 ათასი ლარი); სოფ. არხილოსკალოში მინი სპორტული მოედნის მოწყობა (24,9 ათასი ლარი). 2017 წელს: სოფელ ზემო ქედის სპორტდარბაზში მოეწყო გათბობა-ვენტილაციის სისტემა (16,1 ათასი ლარი); სოფ. არხილოსკალოში რეაბილიტაცია ჩაუტარდა ფეხბურთის მოედანს (18,7 ათასი ლარი); სოფ. არბოშიკში რეაბილიტირდა მინისტადიონი (6,7 ათასი ლარი). **ასევე, განხორციელდა პროექტები: 2013 წელს:** სოფ. ფიროსმანის სპორტული მოედნის მოშანდაკების სამუშაოები – 1 ათასი ლარი. **2014 წელს განხორციელდა:** სოფ. თავწყაროსა და სოფ. გამარჯვების სპორტული მოედნების რეაბილიაცია – 43, 2 ათასი ლარი; ქ. დედოფლისწყაროს მინი სპორტული მოედნის მოწყობა – 29,9 ათასი ლარი; სოფ. ხორნაბუჯის ხელოვნურსაფარიანი მინისტადიონის მოწყობა – 39, 6 ათასი ლარი. **2015 წელს განხორციელდა:** სოფ. გამარჯვების სპორტული დარბაზის მოწყობა – 11, 9 ათასი ლარი; სოფ. ქვემო ქედში მინისტადიონის მოწყობა – 34, 9 ათასი ლარი; **2016 წელს განხორციელდა:** ქ. დედოფლისწყაროში №3 საბავშვო ბაღის ტერიტორიაზე მინი სპორტული მოედნის და საბავშვო გასართობი ატრაქციონის მოწყობა – 62,5 ათასი ლარი (რეგიონული განვითარების ფონდი); **2017 წელს განხორციელდა:** სოფ. ოზაანში სპორტული ინვენტარის შეძენა და ოთახის რეაბილიტაცია – 22.1 ათასი ლარი; სოფ. ფიროსმანში მინისტადიონის მოწყობა – 47,1 ათასი ლარი.

**2018-2019 წლებში, ევროკავშირის დაფინანსებით,** სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა დედოფლისწყაროს ცენტრალურ სტადიონს (200 ათასი ლარი), სტადიონის ტერიტორიაზე მოეწყო სატრენაჟორო კუთხე, ასევე ფრენბურთისა და კალათბურთის მოედნები. კეთილმოეწყო მაყურებლის ტრიბუნები, შეიცვალა სტადიონზე შესასვლელი ცენტრალური ჭიშკარი, შეყვანილ იქნა ინტერნეტი და მოეწყო წყლის სისტემები. **2019 წელს –** მოეწყო დედოფლისწყაროს №2 საჯარო სკოლის მინისტადიონი (9,6 ათასი ლარი); სოფ. მირზაანში მოეწყო ტრენაჟორები (22, 6 ათასი ლარი). ქ. დედოფლისწყაროში, ბარათაშვილის ქუჩაზე მდებარე მინისპორტული მოედნის რეაბილიტაციასა და საბავშვო გასართობი მოედნის მოწყობაზე, რეგიონული განვითარების ფონდიდან (რგფ), 199,5 ათასი ლარი დაიხარჯა. **2020 წელს** სოფ. სამთაწყაროში მოეწყო სტადიონი (162,8 ათასი ლარი, რგფ). **2021 წელს** სოფ.არხილოსკალოში განხორციელდა სპორტული დარბაზის რეაბილიტაცია-მშენებლობა (301,7 ათასი ლარი, რგფ).

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსთან შეთანხმებით, **სპორტულმა ფედერაციებმა,** 2013-2016 წლებში, დედოფლისწყაროში ჩაატარეს 3 შიდაჩემპიონატი (11,6 ათასი ლარი). სამინისტრომ 1 ქუჩის სავარჯიშო მოწყობილობის მშენებლობა დააფინანსა (13,2 ათასი ლარი), შეიძინა მუნიციპალიტეტისთვის სხვადასხვა მცირეფასიანი ინვენტარი (5,4 ათასი ლარი).

## ახალგაზრდული პოლიტიკა

**დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო ცენტრის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი, რომელშიც 420 მოსწავლე-ახალგაზრდაა გაერთიანებული.**

მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი არაერთ საინტერესო ღონისძიებასა და პროექტს ახორციელებს, მათ შორის: ტრადიციული საერო და რელიგიური და გმირი წინაპრების ხსოვნისადმი მიძღვნილი ღონისძიებები (საახალწლო, ქალთა და დედის დღე, დედაენის დღე, საქართველოს დამოუკიდებლობის დღე, მასწავლებლის დღე და სხვ.), შემოქმედ მოსწავლეთა კონკურსები, ინტელექტუალური და მხატვრული კითხვის კონკურსები, სახალისო მათემატიკური და საჭადრაკო ვიქტორინები, სემინარები „მათემატიკა და მუსიკა“, „მათემატიკა და არქიტექტურა“, „მხიარულთა და საზრიანთა კლუბი“, კალიგრაფიის კონკურსი, კულტურული მემკვიდრეობის ევროპული დღეებისადმი მიძღვნილი ღონისძიება, პოეზიისა და ლიტერატირილი საღამოები, საგნობრივი წრეების შემაჯამებელი ღონისძიებები, დაუნის სინდრომის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები, დედამიწის დღისადმი მიძღვნილი „იცოცხლე დედამიწა“. ხატვის კონკურსი „რა არის სამშობლო“, კონფერენცია „ვიცნობდეთ დედოფლისწყაროს ისტორიას“ და სხვ.

2019 წელს ჩატარდა „ესეების კონკურსი“, დაფუძნდა „უფროსკლასელთა ლიგა“, აღინიშნა „დედამიწის დღე“ (ელიის მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავება), „წიგნის ჩუქების დღე“ და სხვ. „უფროსკლასელთა ლიგამ“ დაასუფთავა სოფლებში არსებული შინმოუსვლელთა ობელისკები, ჩაატარა ფოტოკონკურსი „დარაბებს მიღმა ჩემი სოფელი“, ინტელექტუალური თამაში – „რა? სად? როდის? “ (მუნიციპალიტეტის სხვადასხვა ზონაში), ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი გეზრბენი საშუალო და შორ მანძილებზე, გამართა საზაფხულო ბანაკი დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლაში (5 დღე – 130 ბავშვი), მოაწყო ლიდერების ექსკურსია მარტვილისა და ოკაცეს კანიონებში და სხვ.

**2017 წელს გარემონტდა და კეთილმოეწყო ახალგაზრდული სივრცე** (18 ათასი ლარი) – 50 კვ.მ ფართობის ოთახი აღიჭურვა ყველა საჭირო ინვენტარითა და ტექნიკით. ახალგაზრდულ სივრცეში ინტენსიურად იკრიბებიან ახალგაზრდები და ტარდება სხვადასხვა ახალგაზრდული ღონისძიება.

**ახალგაზრდობის სფეროში სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრომ მუნიციპალიტეტში სხვადასხვა სახის პროექტი განახორციელა:** „მოხალისეობის განვითარების პროგრამა“; „საქართველოს თასი ლაშქრობაში“ (მონაწილეობდა 18-დან 29 წლამდე ახალგაზრდა საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტიდან); მუნიციპალიტეტებში ახალგაზრდობაზე პასუხისმგებელ პირთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგები.

**მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდული მიმართულებებით დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში შემდეგი ღონისძიებები გატარდება:**

- გაიზრდება კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროების დაფინანსება;
- გაიზრდება კულტურის ხელმისაწვდომობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის;
- განხორციელდება კულტურული ცხოვრების ხელშემწყობი და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვა-რეაბილიტაციის ღონისძიებები. გაგრძელდება ფიროსმანის მემორიალური სამუზეუმო კომპლექსის ინფრასტრუქტურის შექმნა-განახლება, სამუზეუმო შენობის რეაბილიტაცია (1,9 მლნ ლარი, ფონდი „ქართუს“ დაფინანსებით მიმდინარეობს ადმინისტრაციული კორპუსის რეაბილიტაცია), ივრისპირების არქეოლოგიური სამუშაოები (60 ათასი ლარი); 2024 წელს დაგეგმილია ხორნაბუჯის ციხესიმაგრის რეაბილიტაცია;
- გაგრძელდება სპორტის მასობრივი და მაღალი მიღწევების მქონე სახეობების განვითარება, ხელი შეეწყობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში სპორტის პრიორიტეტულ სახეობათა პოპულარიზაციას;
- გაგრძელდება სპორტული ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაცია. დაგეგმილია: სოფ. არხილოსკალოს სპორტული დარბაზის რეაბილიტაცია-მშენებლობა (301,7 ათასი ლარი); სოფ. ხორნაბუჯში მოეწყობა ღია ტიპის სატრენაჟორო მოედანი და აღიჭურვება საჭირო ინვენტარით (13 ათასი ლარი); სოფ. ოზაანში ღია სპორტული მოედნის რეაბილიტაცია (10 ათასი ლარი); სოფ. საბათლოში ღია სპორტული მოედნის შემოღობვა (8,5 ათასი ლარი);
- ხელი შეეწყობა მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობაში ახალგაზრდების ჩართვასა და მათ მიერ ინიცირებული პროექტების განხორციელებას, განხორციელდება სპორტული ცხოვრების განვითარებისა და ახალგაზრდობის ეფექტიანი პოლიტიკის გატარების ხელშემწყობი პროექტები.

ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო 41




# ჩემო ძვირფასებო!

განვლილი 7 წლის განმავლობაში მუდმივად ვგრძნობდი თითოეული თქვენგანის მხარდაჭერას. ამაყი ვარ, როდესაც ვხედავ, რომ 2014, 2017 წელთან შედარებით, ჩვენი მუნიციპალიტეტი დღეს ბევრად უფრო განვითარებულია!

მსურს, მადლობა გადავუხადო „ქართულ ოცნებას" – საქმეზე ორიენტირებულ ერთადერთ პოლიტიკურ ძალას, რომელმაც მშობლიური მხარისა და ჩემთვის კარგად ნაცნობი, მშრომელი, ლაღი, უდიდესი სიყვარულის უნარის მქონე ხალხის სამსახურში ყოფნის შესაძლებლობა მომცა.

ყველაზე უკეთ ვიცი, რომ წინსვლის კვალდაკვალ, დედოფლისწყაროელების წინაშე ჯერ კიდევ დგას გარკვეული პრობლემები და გამოწვევები. თითოეულ თქვენგანთან უშუალო კომუნიკაციით, თქვენი აქტიური ჩართულობით, დაწყებულ საქმეს აუცილებლად მივიყვანთ ბოლომდე. აუცილებლად განვახორციელებთ წყალმომარაგების მასშტაბურ პროექტს და ერთხელ და სამუდამოდ დავივიწყებთ უწყლობას; ავაშენებთ ჩვენი ოლიმპიური ჩემპიონის სახელობის ძიუდოს დარბაზს; ავაღორძინებთ და ახალ, თანამედროვე, რეკრეაციულ ზონად ვაქცევთ შინმოუსვლელთა პარკს; განვაახლებთ და გავალამაზებთ დედოფლისწყაროს ცენტრს; ერთად განვახორციელებთ ახალ პროექტებს, რაც საშუალებას მოგვცემს, ჩვენს მუნიციპალიტეტში საერთო კეთილდღეობის დონე გავზარდოთ და წინსვლა სწრაფი ტემპით განვაგრძოთ.

დარწმუნებული ვარ, რომ კვლავ გვერდით დამიდგებით და ისევ გავიმარჯვებთ, ოთხი წლის შემდეგ კი მიღწეული შედეგებით ვიამაყებთ!

**„ქართული ოცნების" საარჩევნო შტაბი ყველა ამომრჩეველს და საჯარო მოსამსახურეს მოუწოდებს, კენჭისყრის დღემდე და კენჭისყრის დღეს დაიცვან ქცევის შემდეგი წესები:**



- დაუშვებელია საჯარო მოსამსახურეების, საჯარო სკოლების პედაგოგების, აგრეთვე სსიპ-ებისა და სახელმწიფოს ან მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ების თანამშრომლების საარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობა სამუშაო საათებში ან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, მათ შორის სოციალურ ქსელებში პოლიტიკური შეხედულებების გამოხატვის გზით;



- დაუშვებელია სახელმწიფო და მუნიციპალური თანამდებობის პირების მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენება ამომრჩევლის მიერ ამა თუ იმ საარჩევნო სუბიექტის მხარდაჭერის ან მხარდაჭერისგან თავის შეკავების უზრუნველყოფის მიზნით;



- დაუშვებელია ამომრჩევლისთვის რაიმე მატერიალური ან არამატერიალური სარგებლის გადაცემა ან შესაბამისი დაპირების გაცემა ამომრჩევლის მიერ ამა თუ იმ საარჩევნო სუბიექტის მხარდაჭერის ან მხარდაჭერისგან თავის შეკავების უზრუნველყოფის მიზნით;



- დაუშვებელია ამომრჩევლის იძულება, სხვა პირს გაუმჟღავნოს საკუთარი არჩევანი, მათ შორის საარჩევნო ბიულეტენის ფოტოგადაღების ან საარჩევნო კაბინიდან გამოსვლის შემდეგ ბიულეტენის საჯაროდ ჩვენების გზით;



- კენჭისყრის კაბინაში ფოტო და ვიდეოგადაღება, აგრეთვე შევსებული საარჩევნო ბიულეტენის სხვა პირთათვის ჩვენება დაუშვებელია;



- დაუშვებელია ხმის მიცემა სხვა ამომრჩევლის ნაცვლად, აგრეთვე საარჩევნო ბიულეტენის შევსება სხვა პირის თანდასწრებით;




- კენჭისყრის შენობაში კენჭისყრის დღის 8 საათიდან 20 საათამდე აკრძალულია საარჩევნო აგიტაცია;




- მოვუწოდებთ ყველა პარტიის აქტივისტს, მხარდამჭერსა და ამომრჩეველს, თავი შეიკავონ საარჩევნო უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე დაყოვნებისგან;




- აკრძალულია კენჭისყრის შენობაში ან კენჭისყრის შენობის მიმდებარედ ამომრჩევლის გადაადგილების ფიზიკურად შეფერხება.